ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 27 დეკემბერი, 2019 №307 (8261) ფასი: 60 თეთრი

საკონსტიტუციო სასამართლო: „მოქალაქეს შეუძლია, იუსტიციის სახლს მოსთხოვოს პირადობა, რომელსაც „ჩიპი“ არ ექნება“



გვ.5

17 დეკემბრიდან

ოტია იოსელიანი

მუხლებზე დაწერილი და მტრედებს გამოტანებული ბარათები



ფასი გაზეთთან ერთად 9,5 ლარი

# „ქართული ოცნება“ ბუნკერში ჩავიდა“



გვ.3 გია ხუხაშვილი: „ხელისუფლება აფექტის მდგომარეობაშია და მისგან ყველაფერს შეიძლება ველოდოთ“



ნინო ჯანგირაშვილი: „იმედს“ რომ ინკასო დავადოთ, გაჩერდებაო. ალბათ, ჩვენი გაჩერება უნდათ“





გვ.3

მურმან დუმბაძე: „ნავა ივანიშვილი და „ოცნებაც“ დაიშლება“

„ქვეყნის განვითარება პროპორციულ არჩევნებზე გადის“





გვ.4

„ტვ პირველის“ ფინანსური დირექტორი: „ინკასოს დადებას ჩვენ წინააღმდეგ ხელისუფლების ბრძოლას ვუკავშირებთ“

„გულის ამრევია, როცა დეპუტატები პარლამენტში პროტესტს ქიმიური სითხის დასხმით გამოხატავენ“

გიგა ბუკია: „ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ადამიანების უიმედობაა“



გვ.4



გვ.2

ინგა გრიგოლია: „ამდენი მილიონი რატომ უნდა ეპატიოს ხელისუფლებისთვის კოჭის გამგორებელ მედიას?!“



გვ.5

შსს-მ საერთაშორისო ნარკოჯგუფისგან 6 მილიონი ლარის ნარკოტიკები ამოიღო

დაკავებულია 6 პირი

ISSN 1987-9385

2 „ქალაქის პირად აქტივობებზე დამატებითი ფული იხარჯება“

ვატო შაქარიშვილმა თბილისის ბიუჯეტს მხარი არ დაუჭირა

2 ნათია თურნავა: „ლარის კურსი სტაბილურდება“

5 ნარკოდანაშაულისთვის ტ.ი.-ს — 12, ხოლო ე.ჯ.-ს 10 წელი მიესაჯა

6 რაკეტამ ნეთანიაჰუს გამოსვლა ჩაუშალა

ისრაელის პრემიერი თავშესაფარში გადაიყვანეს

# ინგა გრიგოლია: „ამდენი მილიონი რატომ უნდა ეპატიოს ხელისუფლებისთვის კოჭის გამგორებელ მედიას?!“

— ამდენი მილიონი რატომ უნდა ეპატიოს ხელისუფლებისთვის კოჭის გამგორებელ მედიასაშუალებებს და რატომ არ უნდა გადაგვივადონ ჩვენ სულ რაღაც 15 იანვრამდე?

ამის შესახებ „ტვ პირველის“ გენერალურმა დირექტორმა ინგა გრიგოლიამ ტელევიზიის ანგარიშებისთვის ინკასოს დადებასთან დაკავშირებით განაცხადა.

როგორც გრიგოლიამ ჟურნალისტებს ტელევიზიის შენობასთან გამართულ აქციაზე უთხრა, ჯერ „იმედმა“ და „მაესტრომ“ უნდა გადაიხადონ დავალიანება.

— მე ველოდებოდი, რომ ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა სახელმწიფო და ველოდებოდი იმიტომ, რომ ვთქვი — ეს იყო მოახლოებული არჩევნების წინ დაგეგმილი ახალი შტურმი და ახალი შეტევა მედიაზე. გადაიხადონ ჯერ ბევრი მილიონი ტელეკომპანია „იმედმა“ და „მაესტრომ“ და მერე გველაპარაკონ ჩვენ.

გადასახადები ყველამ უნდა გადავიხადოთ, მაგრამ, რომ დაეწყვნენ დღეს ხელისუფლების ლიდერები და განცხადებებს აკეთებდნენ, ხალხის ფული ბიუჯეტში ყველამ უნდა გადაიხადოს, მაგას ვამბობთ ზუსტად ჩვენც, რომ ამდენი მილიონი რატომ უნდა ეპატიოთ ხელისუფლებისთვის კოჭის გამგორებელ მედიასაშუალებებს და რატომ არ უნდა გადაგვივადონ ჩვენ სულ რაღაც 15 იანვრამდე?




ჩვენ ხომ არ ვეუბნებოდით სახელმწიფოს, გვაჩუქეთო. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ სახელმწიფოს რამე ვთხოვოთ, უბრალოდ, აქ იყო გადადებაზე ლაპარაკი, — განაცხადა გრიგოლიამ.

მან „ტვ პირველის“ წინ შეკრებილ ახალგაზრდებს სოლიდარობისთვის მადლობა გადაუხადა.

დედაქალაქის მერ კახა კალაძის განცხადებით, კერძო ტელევიზიები გადასახადების გადამხდელების ხარჯზე არ უნდა ფუნქციონირებდნენ.

კალაძე ფინანსთა სამინისტროს მიერ ტელევიზიებზე ინკასოს დადებას გამოეხმაურა.

— თემას არ ვიცნობ, მაგრამ, დავალიანება თუ აქვთ, რა თქმა უნდა, გადასახდელია. ხალხის ხარჯზე რატომ უნდა ფუნქციონირებდნენ ტელევიზიები. ეს არასწორია, — განაცხადა კახა კალაძემ.

კავკასიასა და ტვ პირველს მხარს უჭერს „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი.

— ამ ბრძოლაში ჩვენ კავკასიისა და ტვ პირველის გვერდით ვართ ბოლომდე იმიტომ, რომ ეს არ არის ცალკე ამ ტელეკომპანიების პრობლემა, ეს არის ზოგადად თავისუფალი მედიის პრობლემა, — განაცხადა მან ტელეკომპანია კავკასიასთან გამართულ მხარდასაჭერ აქციაზე.

მისივე თქმით, ტელეკომპანიებისთვის ინკასოს დადება „ქართულ ოცნებაზე“ საერთაშორისო ზეწოლის ძალიან სერიოზული საგანი უნდა გახდეს.

— ეს არის დემოკრატიის მოხრჩობის კიდევ ერთი გამოვლინება, როდესაც ამ დავალიანებებით ცდილობენ დახურონ კავკასია და მოახრჩონ ტვ პირველი.

ეს არის რუსული მეთოდები — არაერთხელ გვინახავს, როდესაც რუსეთში სხვადასხვა გზით აჩერებენ კრიტიკულ ტელევიზიებს, რა თქმა უნდა, ამ ბრძოლაში ჩვენ კავკასიის და ტვ პირველის გვერდით ვართ ბოლომდე იმიტომ, რომ ეს არ არის ცალკე ამ ტელეკომპანიების პრობლემა. ეს არის ზოგადად თავისუფალი მედიის პრობლემა.

ამ საკითხებზე ჩვენ საუბარი გვქონდა აშშ-შიც. მათ კარგად ესმით, როგორ მიდის ზეწოლა მედიაზე. ეს უნდა გახდეს „ქართულ ოცნებაზე“ საერთაშორისო ზეწოლის ძალიან სერიოზული საგანი, — განაცხადა ელენე ხოშტარიამ.

საქართველოს ვიცე-პრემიერი და იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი კი იმ შერჩევითობის პრინციპის დასრულებაზე მიუთითებს, როდესაც მედიას ხელისუფლება გადასახადების გადაუხდელობას პატიობდა.

— ზოგიერთი ტელევიზია იხდის დაკისრებულ გადასახადს, ზოგი კი არა. იყო დრო, როდესაც სახელმწიფო მათ ამას პატიობდა, თუმცა, დროა, დასრულდეს ამგვარი შერჩევითობის პრინციპი და ყველა კერძო ორგანიზაციამ, მათ შორის, ტელეკომპანიებმა დაკისრებული გადასახადები გადაიხადონ.

სახელმწიფო ბიუჯეტი არ ეკუთვნის რომელიმე მინისტრს ან კერძო კომპანიას, ბიუჯეტი ეკუთვნის მათ, ვინც ჩვენ გვისმენს ანუ, ხალხს. შესაბამისად, მათ უნდა დაუბრუნდეთ ის ფული, რაც ეკუთვნით, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

25 დეკემბერს რუსთავი 2-ის, ტვ პირველისა და კავკასიას საბანკო ანგარიშებს ინკასო დაედო.

# „კალაძის პირად აქტივობებზე დამატებითი ფული იხარჯება“

## ვატო შაქარიშვილმა თბილისის ბიუჯეტს მხარი არ დაუჭირა

— ვფიქრობ, ბიუჯეტის პროექტი მერისა და კონკრეტული ადამიანების პირადი სურვილების რეალიზაციას უფრო ემსახურება, ვიდრე თბილისელების პრობლემების გადაჭრას.

ამის შესახებ საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა ვატო შაქარიშვილმა კომისიების გაერთიანებული სხდომის შემდეგ განაცხადა.

მან ისაუბრა თბილისის ბიუჯეტის შესახებ, რომელიც თბილისის საკრებულოს კომისიებმა განიხილეს.



— სულ ახლახან დამტკიცებული ცენტრალური ბიუჯეტით შრომის ანაზღაურება გაეზარდათ პოლიციელებს, ჯარისკაცებს, ექიმებს, ფორმიან ადამიანებს და ადამიანებს, რომლებიც ემსახურებიან სახელმწიფოს.

ჩვენც გვყავს, მუნიციპალიტეტს, ასე ვთქვათ, ჯარისკაცები, ესენი არიან საბავშვო ბაღის პედაგოგები, აღმზრდელები, რომელთაც აქვთ შეურაცხმყოფელი ანაზღაურება და სამწუხაროდ, ბიუჯეტის პროექტში, რომელსაც დღეს კენჭი უყარეს, პრიორიტეტად ნამდვილად არ არის დასახული ამ ადამიანების ღირსეული შრომის ანაზღაურება.



ვფიქრობ, მერისა და კონკრეტული ადამიანების პირადი სურვილების რეალიზაციას უფრო ემსახურება ეს პროექტი, ვიდრე თბილისელების პრობლემების გადაჭრას.

როდესაც პირველი პროექტი შემოვიდა, ჩვენ საჯაროდ ვთქვით, რომ იმ რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში არ დავუჭერდით ასეთი ფორმით შემოტანილი ბიუჯეტის პროექტს მხარს, შესაბამისად, მე არ ვუჭერ ამ ფორმით შემოტანილ ბიუჯეტს მხარს, — განაცხადა შაქარიშვილმა.

მისივე თქმით, კითხვის ნიშნებია როგორც დაგეგმარებასთან და პრიორიტეტების განაწილებასთან დაკავშირებით, ასევე წლევანდელი ბიუჯეტის აღსრულებასთან მიმართებით.

— სოციალური მიმართულებით ბიუჯეტის საკმაოდ დიდი პროცენტია მიმართული, მაგრამ, ზოგადად ვამბობ, რომ პრიორიტეტების განაწილება, თუნდაც ეს იყოს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება მათი მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ასევე, ის თანხები, რომელიც ემატება რეკლამირებისა და კონკრეტული, მაღალი თანამდებობის პირების მარკეტინგულ ხარჯებს და თქვენ ნახეთ, ეს იქნება ფეისბუქი თუ სხვადასხვა მიმართულება — მერის პიარაქტივობებზე იხარჯება დამატებითი თანხები.

კითხვები არის როგორც დაგეგმარებასთან და პრიორიტეტების განაწილებასთან დაკავშირებით, ასევე წლევანდელი ბიუჯეტის აღსრულებასთან მიმართებით. შესაბამისად, დაგროვილი კითხვებიდან და პრობლემებიდან გამომდინარე, არ ვუჭერ ბიუჯეტის ამ პროექტს მხარს, — აღნიშნა შაქარიშვილმა.

# ნათია თურნავა: „ლარის კურსი სტაბილურდება“



— გამოწვევა არის და რჩება სიღარიბის დაძლევა. გამოწვევა, რომელიც წელს განვითარდა და რომელთან გამკლავებაც მოგვიხდა, იყო ინფლაცია.

ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა.

მინისტრი აღიარებს, რომ ინფლაცია დიდი გამოწვევაა.

— სამომხმარებლო პროდუქტების რაღაც ნაწილი, განსაკუთრებით იმპორტული პროდუქტების, გაძვირდა. ამაზე ლარის კურსის რყევებმა და რეგიონში მიმდინარე პროცესებმა მოახდინა ნეგატიური გავლენა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამას პოლიტიკურმა პროცესებმა დიდად შეუწყვეს ხელი. ნათლად ვხედავდით, როგორ მიჰყვებოდა ლარის კურსი ამ არასტაბილურობას, — აცხადებს ნათია თურნავა.

მინისტრის თქმით, ინფლაცია კარგი მაგალითია იმისა, თუ რამდენად სწრაფად რეაგირებს მთავრობის ეკონომიკური გუნდი გამოწვევებზე.

— როგორც კი წინა პლანზე ეს გამოწვევა წამოვიდა, თქვენ ხედავთ ეროვნული ბანკის და მთავრობის კოორდინირებული მუშაობის შედეგს და რა თქმა უნდა, პრემიერ-მინისტრი პირდაპირ დავალებებს გვაძლევს ამ მიმართულებით.

ეს მიზანმიმართული ნაბიჯები აისახება იმაში, რომ ლარის კურსი სტაბილურდება და, თუ სხვა გლობალური ფაქტორი არ წამოვიდა, მომავალ წელს ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს დაუბრუნდება, — განაცხადა ეკონომიკის მინისტრმა.

# მეუფე შიო: „მატერიალიზმის, გარყვნილების, უღმერთოების პროპაგანდით სული ავადდება და ბევრი ადამიანი თვითმკვლელობამდე მიდის“



გუშინ, 26 დეკემბერს, საქართველოს საპატრიარქოში შეხვედრა გაიმართა, რომლის მთავარი თემა სუიციდთან ბრძოლის ინტერსექტორალური შესაძლებლობები იყო.

— საქართველოში თვითმკვლელობების რიცხვი ძალიან იზრდება და ამასთან დაკავშირებით ძალიან შემაშფოთებელი სტატისტიკაა. 10 წლის განმავლობაში თვითმკვლელობათა რიცხვი თითქმის გაათმაგდა, — განაცხადა მეუფე შიომ.

მისი თქმით, ადამიანის სული ავადდება და სულის მოკვდინება ხდება იმ პროპაგანდით, რასაც დღეს ჩვენ მსოფლიოში და ჩვენს ქვეყანაში ვხედავთ, მათ შორის, მატერიალიზმის, ამორალიზმის, გარყვნილების, უღმერთოების, ყალბი იდეალების, აზარტული თამაშების, ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდით.

— ადამიანის სული კი ვერ უძლებს ამ ყველაფერს და მწუხარებაში, სევდაში, დეპრესიაში ვარდება და ბევრი ადამიანი თვითმკვლელობამდე მიდის.

ჩვენ ვფიქრობთ ამ ყველაფერზე. არის ასეთი აზრი, რომ საპატრიარქოსთან ერთად შეიქმნას გარკვეული ცენტრივით, სადაც სხვადასხვა სპეციალისტი სახელმწიფოდან, პარლამენტიდან, ფსიქოლოგებიდან გაერთიანდება და ერთად ვიფიქროთ ამ პრობლემაზე, თუ როგორ ვუშველოთ და ავიცილოთ თავიდან, — აღნიშნა მეუფე შიომ.

# სეზონური გრიპი და გადატვირთული კლინიკები

## H1N1 ვირუსით გარდაცვალების 2 შემთხვევა დაფიქსირდა

სეზონური გრიპის შემთხვევების მატების გამო კლინიკები ისევ გადატვირთულია. ასევე გადატვირთულია ყველა სტაციონარი და სასწრაფო სამედიცინო დახმარება საგანგებო რეჟიმში მუშაობს.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორი ამირან გამყრელიძე თვლის, რომ გრიპის თავიდან ასაცილებლად ერთ-ერთი მთავარი პრევენცია დროული ვაქცინაციაა.

მისივე თქმით, დაგვიანებული იმუნიზაციის და თანმდევი ქრონიკული დაავადებების გამო ბოლო 2 კვირის განმავლობაში H1N1 ვირუსით გარდაცვალების 2 შემთხვევაც დაფიქსირდა.

გრიპის ვირუსის გახშირებულ შემთხვევებზე 25 დეკემბერს განცხადება გააკეთა ჯანდაცვის მინისტრმა.

ეკატერინე ტიკარაძის მოსაზრებას, რომ გრიპის ვაქცინაცია პანაცეა არ არის, მწვავე კრიტიკა მოჰყვა. ოპოზიციის გარდა, მინისტრი ექიმებმაც გააკრიტიკეს.

გუშინ, 26 დეკემბერს, ჯანდაცვის მინისტრმა საკუთარ განცხადებაზე განმარტება გააკეთა.

— მსურს საზოგადოებას განვუმარტო, რომ გრიპზე ვაქცინაცია ატარებს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს და ნაჩვენებია იმ ჯგუფებისთვის, რომლებიც ყველაზე მეტად დგანან ინფიცირების რისკის წინაშე. ამ ჯგუფებს მიეკუთვნებიან: ქრონიკული დაავადების მქონე 60 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობა, ორსულები და მოხუცთა მოვლის დაწესებულებების ბენეფიციარები, — განაცხადა ტიკარაძემ.

მისი თქმით, გრიპზე ვაქცინაცია სავალდებულო არ არის მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, გარდა ეპიდემიების და პანდემიების შემთხვევებისა, როცა ეროვნული უწყებები ან სახელმწიფოები არსებული ეპიდსიტუაციის მიხედვით იღებენ მოსახლეობის მასშტაბური ვაქცინაციის გადაწყვეტილებას.

— ვწუხვარ, თუ გუშინდელმა განცხადებამ საზოგადოებაში გარკვეული გაუგებრობა გამოიწვია. ვაქცინაცია მუშაობს! იმუნიზაციის როლი საზოგადოებრივ ჯანდაცვაში არის უმაღლესი მნიშვნელობის და მისი ეფექტურობა ეჭვს გარეშეა.

ამიტომ, მოვუწოდებ მოსახლეობას, გაითვალისწინონ რეკომენდაციები და მიჰყვნენ აცრების ეროვნულ კალენდარს. სახელმწიფო კი, თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსახლეობისთვის უსაფრთხო და მაღალეფექტური ვაქცინების უწყვეტ მიწოდებას, — აღნიშნა ჯანდაცვის მინისტრმა.

მაღალი მომართვიანობის გამო სრულად დატვირთულია იაშვილის კლინიკის რესპირაციული დეპარტამენტი, რის გამოც საავადმყოფოში დამატებითი ადგილების გამოყოფა დასჭირდათ. ამ ეტაპზე იაშვილის კლინიკაში გრიპით სულ 68 პაციენტი წევს.

საქართველოში წელს 3 ტიპის გრიპის ვირუსი ცირკულირებს. ექიმების რეკომენდაციით, პაციენტებმა სამედიცინო დაწესებულებას გრიპის სიმპტომების გამოვლენისთანავე უნდა მიმართონ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქართული ოცნება“ ბუნკერში ჩავიდა“

## გია ხუხაშვილი: „ხელისუფლება აფექტის მდგომარეობაშია და მისგან ყველაფერს შეიძლება ველოდოთ“

ნონა ცაბაძე

განვლილ 2019 წელს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი **გია ხუხაშვილი** აფასებს.

***– ბატონო გია, 2019 წელი ერთ-ერთ ყველაზე რთულ და წარუმატებელ წლად დასახელდა. როგორია თქვენი შეფასებები და რა საკითხებს გამოყოფდით ყველაზე მეტად?***

– სამწუხაროდ, ძალიან პრობლემური წელი იყო, რბილად რომ ვთქვათ, აბსოლუტურად ყველა მიმართულებით, როგორც სოციალურ-ეკონომიკური, შიდაპოლიტიკური და ასევე საგარეო პოლიტიკური კუთხით.

რაც შეეხება სოციალურ-ეკონომიკურს, ეს წელი ყველაზე მაღალი ინფლაციის წელი იყო და ეს მიმდინარეობდა ლარის კურსის ვარდნის ფონზე. წლის ბოლოს თითქოს ეს ყველაფერი დასტაბილურდა, მაგრამ ეს წლის ბოლოსთვის დამახასიათებელი სუბიექტური სტაბილიზაციაა. სამომხმარებლო კალათა საგრძნობლად დამძიმდა, შემოსავლების ინდექსაცია არ მომხდარა, შემოსავლები არ გაზრდილა, შესაბამისად, საშუალო სტატისტიკური ქართველი გაღარიბდა. პერსპექტივაც საკმაოდ ბუნდოვანია.

***– პოლიტიკურ პროცესებზე რას იტყვით?***

– აქ საერთოდ კატასტროფულად განვითარდა მოვლენები, სამ ძირითად მოვლენას დავასახელებ: ერთი არის 20-21 ივნისის მოვლენები და მისი შედეგები, როდესაც, კი ბატონო, შეიძლება, ლეგიტიმური უფლებაც ჰქონდა ხელისუფლებას ძალის გამოყენების, მაგრამ ამის შემდეგ უკვე მოხდა ძალის გადამეტება, რასაც მოჰყვა მძიმე შედეგები და ამ ძალის გადამეტებისთვის, სამწუხაროდ, დღემდე არავინ არის დასჯილი და, როგორც ჩანს, არც აპირებს ხელისუფლება ამის გაკეთებას.

მეორე საკითხი არის ის, რომ ხელისუფლებამ საბოლოოდ გამოაცხადა თავისი თავი იმ სისხლიანი 9 წლის, იმ რეჟიმის სამართალმემკვიდრედ, ფაქტობრივად, ყველა სისტემური მანკიერება გადმოიბარა და ეს პროცესი დაასრულა მართლმსაჯულების სისტემის რეინტეგრაციით სახელმწიფო მმართველობაში. რეპუტაციადაკარგული, დისკრედიტებული, იმავე ადამიანების ბაზაზე ჩამოაყალიბა მართლმსაჯულების სისტემა და პოლიტიკურ ვერტიკალში განათავსა. ფაქტობრივად, დაასრულა სამართალმემკვიდრეობის აქტის გაფორმება, ნაციონალური მოძრაობის მანკიერი მმართველობის ყველა ატრიბუტი გადმოიბარა.

მესამე გახლავთ სრულიად წარმოუდგენელი აქტი საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით. მსოფლიო ისტორიაში არ მეგულება ასეთი პრეცედენტი, რომ მმართველ ძალას მიეცეს საჯარო პირობა მთელი საზოგადოებისთვის, ამაზე შემდგარიყოს საერთო სახალხო კონსენსუსი და მერე ძალიან უხეში, პროვინციული, ვირეშმაკული ფორმით გადაეგდოს საზოგადოება. მსგავსი არ მახსენდება.

***– ბატონო გია, შეიძლება, რომ ორ ეტაპად გაიყოს „ოცნების“ მოღვაწეობა, 20 ივნისამდე და 20 ივნისის შემდეგ?***

– 20 ივნისს გარკვეულწილად უკავშირდება, მაგრამ, როგორც შემდგომ გაირკვა, ამაზე უარესიც შესაძლებელია და ამაზე უარესიც ვიხილეთ შემდეგ.

წარმოუდგენელი რამ არის, რაც მათ ჩაიდინეს და, აქედან გამომდინარე, ჩვენ გავაკეთეთ დასკვნა, რომ ხელისუფლებას აღარ აქვს არანაირი სახელმწიფოებრივი ამოცანა. მას აქვს ერთადერთი ამოცანა დღის წესრიგში – ძალაუფლების ნებისმიერი გზით შენარჩუნება და ეს არის ძალიან სამწუხარო.

ეს ყველაფერი კი გვაკეთებინებს არასახარბიელო პროგნოზს 2020 წლისთვის. ფაქტობრივად, 2019 წელს ხელისუფლებამ ჩადო ისეთი ნაღმები, რომლებიც კიდევ უფრო მძიმე 2020 წლის წინაპირობა გახდება, სამწუხაროდ.

***– საკმაოდ დიდია ზეწოლა მასმედიაზე. ტელევიზიებზე დადებული ინკასო რას უკავშირდება?***

– ეს არის მედიაზე კონტროლის დამყარების მცდელობები და ასეთი კიდევ ბევრია, რადგან, შენ თუ იბარებ რეჟიმის სისტემას, ბუნებრივია, ყველა მიმართულებით ცდილობ, ყველა რესურსის მონოპოლიზაცია მოახდინო, ყველა რესურსი შენი კონტროლის ქვეშ დააყენო, იქნება ეს მატერიალური, ადმინისტრაციული და ორგანიზაციული თუ მედიარესურსი.

***– ასეთი შეფასებებიც გაკეთდა, რა მნიშვნელობა აქვს, სპეცრაზმით შევარდები თუ ეკონომიკურად მოგუდავო.***

– ბუნებრივია, ეს არის ინსტრუმენტები. თუ ჩვენ ამ კონკრეტულ ინკასოს ვგულისხმობთ, მე შემიძლია განვმარტო, რომ ეს ინკასოს თემა ცალსახად პოლიტიკურია და ავხსნი, რატომ.

***– რატომ არის პოლიტიკური? არსებობს მეორე მხარეც, რომელიც აცხადებს, რომ კომპანიას აქვს ბიუჯეტის დავალიანება და ის უნდა გადაიხადოს.***

– პოლიტიკურია იმიტომ, რომ საგადასახადო კოდექსი მიმდინარე გადასახადს არ განასხვავებს სხვა გადასახადისგან. ერთადერთ შემთხვევაში შეიძლებოდა, ამ ლოგიკით ევლო ხელისუფლებას, თუ ძველ დავალიანებებთან დაკავშირებით იქნებოდა უკვე გადახდის გრაფიკი დადგენილი და ეს კომპანიები, „იმედიც“ და სხვებიც, დაიწყებდნენ უკვე გადახდას.

ამ შემთხვევაში ხელისუფლების ქმედებაში შეიძლებოდა, რაღაც ლოგიკა ყოფილიყო, თუმცა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ასეთი კონტრაქტები არ არსებობს. არის ზეპირი დეკლარირებული საუბრები, რომ ვითომ რაღაც მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

როდესაც ამ ფონზე ინკასოს ადებ სხვა ტელევიზიებს ისე, რომ ამ დავალიანებების თემა არ გაქვს სამართლებრივად გარკვეული, ეს არის უკვე ცალსახად პოლიტიკური დევნა. ეს უკვე სამართლებრივი დავის საფუძველია.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ აშკარად არაკონკურენტულ მდგომარეობაში აყენებ შენთან ასოცირებულ ტელევიზიებს სხვა ტელევიზიებთან და, შესაბამისად, ეს უკვე შეიძლება გახდეს სერიოზული სამართლებრივი დავის საფუძველი უკანონო უპირატესობის მიცემაზე ხელისუფლების მხრიდან.

***– საგარეო ფაქტორზე რას იტყვით? სერიოზული წნეხი წამოვიდა დასავლეთიდან.***

– სერიოზული მინიშნებებია. ჯერჯერობით ეს არ არის კატასტროფული, მაგრამ ძალიან სერიოზული სიგნალებია, აფრთხილებენ ხელისუფლებას, რომ არასწორი გზით მიდის.

ყველაზე მძიმეა ფეისბუქის ინციდენტი და ავხსნი, რატომ. საუბარია იმაზე, რომ ქვეყნის ხელისუფლებას სოციალურ ქსელში შექმნილი აქვს გარკვეული სისტემა, რომელიც ეწევა საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებას, რომელიც საინფორმაციო შეტევებს ახორციელებს პოლიტიკურ ოპონენტებზე და ეს ყველაფერი მიმდინარეობს ანტიდასავლური ნარატივის ქვეშ. რას ნიშნავს ფეისბუქის ეს განცხადება?!

***– რას ნიშნავს?***

– ნუ წარმოვიდგენთ ისე, რომ ეს ყველაფერი წაშალეს ფეისბუქიდან და ამით დამთავრდა. მთელი მსოფლიო სარგებლობს ამ სოციალური ქსელით, მათ შორის დასავლური ქვეყნების ხელისუფლებებიც და მას უჭირავს ძალიან სერიოზული ადგილი მსოფლიო პოლიტიკის განსაზღვრაში. ამ ინციდენტს ნახავს ყველა და აქედან ჩამოაყალიბებენ წარმოდგენას იმაზე, თუ რა ხდება საქართველოში.

ასე რომ, ფეისბუქის ეს ქმედება არის დამანგრეველი უკვე არა ხელისუფლებისთვის, არამედ მთლიანად ქართული სახელმწიფოსთვის.

***– ქვეყნის იმიჯისთვის?***

– რასაკვირველია. ევროპაში ან ამერიკაში წაიკითხავენ, თუ როგორ იყენებს ხელისუფლება ამ ინსტრუმენტს თავისივე საზოგადოების წინააღმდეგ. კი ბატონო, ტროლების ფაბრიკები არსებობს, იმავე რუსეთშიც არსებობს ტროლების ფაბრიკა, მაგრამ რუსული ტროლების ფაბრიკას სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ იყენებენ. როდესაც ხელისუფლება ტროლების ფაბრიკას მიმართავს შიდაპოლიტიკური პრობლემის გადაწყვეტისკენ, ეს არის სრული ანაქრონიზმი, რაც უკვე მანიაკალურ მიდრეკილებებზე მეტყველებს.




აი, ასეთი მოცემულობაა, შესაბამისად, ამას ექნება უმძიმესი შედეგები სამომავლოდ და ამას კიდევ ვნახავთ.

***– პროცესების როგორ განვითარებას ელოდებით?***

– ხელისუფლება, როგორც ჩანს, არ აპირებს უკანდახევას.

***– შიდა კრიზისიც აქვს სერიოზული.***

– რა თქმა უნდა, ასეა და ეს გასაგებია. თუ ვინმეს რამე პრობლემის შექმნა შეუძლია, ყველა წინა თუ უკანა კარიდან გასწრებას ლამობს. თუმცა ხელისუფლებამ დღეს განიცადა სრული სტერილიზაცია, ჩავიდა პოლიტიკურ ბუნკერში და გამოუცხადა ომი ყველასა და ყველაფერს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ.

ხელისუფლებას ხომ დღეს მოკავშირე აღარავინ დარჩა, არც პოლიტიკურ ელიტაში, არც სამოქალაქო საზოგადოებაში, არც დასავლეთში, არც აღმოსავლეთში, საერთოდ არსად! მან განიცადა სრული იზოლაცია და მთელ სამყაროსთან გამოაცხადა ომი.

ის არის სრულიად დარწმუნებული, რომ მასზე ჰკიდია სამყარო, რომ ის არის ერთადერთი კეთილი ძალა და ყველა დანარჩენი არის მტერი, ანუ ნაციონალური მოძრაობა და აი, ასეთ მოცემულობაში ვართ.

ხელისუფალი დარწმუნებულია იმაში, რომ ის არის სტაბილურობის ერთადერთი გარანტი და მის გარეშე ქვეყანა დაინგრევა, თუმცა, მე ვეტყვი, რომ თავს იტყუებენ. ის უკვე სტაბილურობის გარანტი კი არ არის, ის არის არასტაბილურობისა და ძალიან მძიმე პროცესების განვითარების გარანტი.

***– რა იქნება 2020 წელს?***

– რადგან ხელისუფლება ასეთი შეუვალია და თან რესურსების სრული მობილიზაციით აპირებს ხმალამოღებულ ბრძოლას, ძალიან სახიფათო ფაზაში შევდივართ. ასეთი ხელისუფლება არის აბსოლუტურად აფექტის მდგომარეობაში და ამ მდგომარეობაში მყოფი სუბიექტისგან ყველაფერს შეიძლება ველოდოთ.

მე პროგნოზებისგან თავს შევიკავებდი, რადგან აფექტური, შეშინებული ადამიანის პროგნოზირება, უბრალოდ, შეუძლებელია.

***– თუ დასჭირდა, დასავლეთთანაც გააფუჭებს ურთიერთობას?***

– თუ დასჭირდა, კი და ეს უკვე მოვისმინეთ სალომე ზურაბიშვილის პირიდან. რა თქვა სალომე ზურაბიშვილმა?! დასავლეთს უთხრა, თუ ძალიან მოგვაწვებით, ხალხმა შეიძლება ორიენტაციისა და დასავლური კურსის შეცვლაზეც კი იფიქროსო. ხალხს გადააბრალა და ხალხის სახელით გააკეთა ეს მინიშნებები, პირდაპირ შანტაჟის ენით დაიწყო საუბარი და სალომე ზურაბიშვილი ამ შემთხვევაში ხელისუფალს ახმოვანებს.

რთული წელი გველოდება.

# მურმან დუმბაძე: „წავა ივანიშვილი და „ოცნებაც“ დაიშლება“

## „ქვეყნის განვითარება პროპორციულ არჩევნებზე გადის“

ნათია ხურცილავა

გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი **მურმან დუმბაძე**, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში 2019 წლის პოლიტიკურ პროცესებს აჯამებს.

***– ბატონო მურმან, რა პოლიტიკურ მოვლენას გამოყოფდით მიმდინარე 2019 წელს?***

– 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შემდეგ ოპოზიციამ სხვანაირად დაიწყო აზროვნება. 2019 წლის ყველაზე მთავარი მონაპოვარი მაინც ოპოზიციის დიდი პოლიტიკური გაერთიანება მგონია.

განსხვავებული პოლიტიკური პლატფორმის, იდეების, მენტალიტეტის ადამიანები ერთ მაგიდას მიუსხდნენ და გადაწყვიტეს, რომ ხელისუფლება შესაცვლელია არაძალადობრივი, მშვიდობიანი მეთოდებით. ალბათ ასეთი ერთობის დანახვა ხელისუფლებასაც კი გაუკვირდებოდა. მთავარი არის ის, რომ ჩვენ ვცდილობთ, საარჩევნო გარემო და საარჩევნო სისტემა შევცვალოთ. ხელისუფლების ცვლილების აუცილებლობა გარდაუვალია. ეს არის მთავარი სტრატეგია და მიზანი.

***– ოპოზიციამ ერთგვარი ტაიმაუტი აიღო. ქუჩის პროტესტი გაგრძელდება თუ მოლაპარაკების მაგიდა შეიძლება უფრო კომფორტული იყოს?***

– რამდენიმე დღეში 2019 წელი კალენდარულად ნამდვილად დასრულდება, მაგრამ პოლიტიკურად ვერ დასრულდება და მე ამის პირობას ვაძლევ ხელისუფლებას. მოლაპარაკების მაგიდა და ქუჩის პროტესტი ერთმანეთის შემავსებელი კომპონენტებია. საახალწლო-საშობაო დღეების შემდეგ ისევ მოხდება ოპოზიციური პარტიების კონსოლიდირება და ჩვენ დავიწყებთ პროტესტს, თუ „ქართული ოცნება“ გონს არ მოეგება.



***– მძიმე პოლიტიკურ გაზაფხულებს აანონსებთ?***

– ბიძინა ივანიშვილმა თავისი დანაპირები უნდა შეასრულოს. მას სხვა გზა არ აქვს! ეს არის არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვის მიცემული მთავარი პოლიტიკური დანაპირები, არამედ ეს არის მსოფლიო თანამეგობრობის, სტრატეგიული პარტნიორებისთვის მიცემული დანაპირები, რომელიც პრეზიდენტმა გაეროს ტრიბუნიდან გაახმოვანა.

მთელი პარლამენტი, მისი უმრავლესობა ტრაბახობდა ამ დანაპირებით, რომ ისინი ხელისუფლების დაკომპლექტების ახალ წესზე გადადიან. ამიტომ ჩვენ, ოპოზიცია, ახლა იძულებული ვართ, უკან წაღებული დანაპირები ხელისუფლებას შევასრულებინოთ.

***– არ ასრულებს.***

– მოუწევს.

***– როგორ?***

– ბიძინა ივანიშვილს სხვა გზა, უბრალოდ, არ დარჩება. მას მოუწევს თავისი სიტყვის შესრულება საერთაშორისო პარტნიორების ზეწოლით, ქვეყნის შიგნით მოქალაქეების მოთხოვნით. უკეთესია, არ გაჯიუტდეს და ისე შეასრულოს დანაპირები.

აქ იმაზე კი არ არის საუბარი, რომ სიტყვის შესრულება ღირსების ამბავია და ასე შემდეგ. თუმცა ესეც არის. აქ მთავარია ქვეყნის ინტერესები და სწორი განვითარების გზა. ქვეყნის მომავალი განვითარება სწორედ პროპორციულ, სამართლიან არჩევნებზე გადის. მახინჯი, უუნარო საარჩევნო სისტემა, რომელმაც ყველანაირად ამოწურა თავისი შესაძლებლობები, უნდა შეიცვალოს.

***– ყველა პოლიტიკური ძალა ამ დაპირებით მოდის ხელისუფლებაში, მაგრამ მერე არ ასრულებს. თავის დროზე ნაციონალური მოძრაობაც ამბობდა, რომ შეცვლიდა, მაგრამ არ შეცვალა.***

– დიახ, სწორედ ნაციონალური მოძრაობა ამბობს დღეს, რომ ეს გარდაუვალი აუცილებლობაა და უნდა შეიცვალოს. „ქართულმა ოცნებამ“ 2012 წელს ეს დანაპირები პროგრამაში ჩაწერა. ის უნდა შეასრულოს და, რომ არ ასრულებს, ამით ნაციონალურ მოძრაობას კიდევ უფრო მეტად ემსგავსება.

***– ექსპერტების თქმით, „ქართული ოცნება“ ყველაფერს გააკეთებს, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოს, რომ მარტივად ვერ დათმობს. რას იტყვით?***

– პოლიტიკურ პროცესს ერთი ძალიან ლოგიკური არგუმენტი ახასიათებს: შეუქცევად პროცესს, რომელიც დაიწყება, ველარაფერი აჩერებს! ეს პროცესი დაწყებულია და მისი უკან მობრუნება ან შეჩერება შეუძლებელია. ბიძინა ივანიშვილმა ეს უნდა გაითვალისწინოს.

ვერც ერთმა ხელისუფლებამ ეს ვერ შეძლო, მიუხედავად დიდი სურვილისა. ეს ვერ შეძლო ძალიან დიდი პოლიტიკური გამოცდილების მქონე შევარდნაძემ. ვერ შეძლო ასევე გამოცდილმა და ენერგიულმა სააკაშვილმა. ბუნებრივია, ვერ შეძლებს არაპოლიტიკოსი ბიძინა ივანიშვილი.

დინების წინააღმდეგ ვერავინ წავა. 8 წელი საქართველოში მაქსიმუმია. იმის იქით ქვეყნის სამართავად ახალი ძალა უნდა მოვიდეს, ბიძინა ივანიშვილი კი უნდა დაუბრუნდეს ქველმოქმედებას, თუმცა ახლა არც ქველმოქმედია, ბიზნესს დაუბრუნდა, ამიტომ, უმჯობესია, ისევ ბიზნესში დაბრუნდეს. წავა ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებიდან და „ქართული ოცნებაც“ დაიშლება ისე, როგორც წინა პოლიტიკური პარტიები.

***– მოქალაქეთა კავშირს ადარებთ?***

– რატომ მხოლოდ მოქალაქეთა კავშირს?! აღორძინებამაც იგივე ბედი გაიზიარა. როდესაც იდეა არ არის, როდესაც სტრატეგია არ არის, როდესაც მთავარი ბალავარი გეცლება, მაშინ ხელისუფლებაში ველარ რჩები.

ცვლილება გარდაუვალია და ივანიშვილი ამ აზრს უნდა შეეგუოს.



**შევიძენ**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ: 598-43-98-57

# ნინო ჯანგირაშვილი: „იმედს“ რომ ინკასო დავადოთ, გაჩერდებაო. ალბათ, ჩვენი გაჩერება უნდათ“

## „ტვ პირველის“ ფინანსური დირექტორი: „ინკასოს დადებას ჩვენ წინააღმდეგ ხელისუფლების ბრძოლას ვუკავშირებთ“

იაგო ნაცვლიშვილი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სამ ტელეკომპანიას ინკასო დაადო. საუბარია „ტვ პირველზე“, „კავკასიასა“ და „რუსთავი 2“-ზე. რატომღაც ამ სიაში არ მოხვდნენ ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილი ტელეკომპანიები „იმედი“ და „მაესტრო“, რომლებსაც ბიუჯეტის მიმართ მილიონობით დავალიანებები აქვთ. ფინანსთა სამინისტროში ამას იმით ხსნიან, რომ საკითხი მხოლოდ მიმდინარე დავალიანებებს შეეხო, თუმცა სანქციადადებული ტელეკომპანიების წარმომადგენლებისთვის ეს არგუმენტი არადამაჯერებელია და შერჩევითობის განცდას აჩენს.

უკავშირებენ თუ არა ამ გადაწყვეტილებას ხელისუფლების ბრძოლას თავისუფალი მედიის წინააღმდეგ? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ საუბრობენ ტელეკომპანია „კავკასიისა“ და „ტვ პირველის“ წარმომადგენლები.

„კავკასიის“ დირექტორი **ნინო ჯანგირაშვილი** ამბობს, რომ ხელისუფლების სურვილია, მან შეუქმნას პრობლემა ყველას, ვისაც ვერ აკონტროლებს.

***– როგორ აფასებთ თქვენი ტელეკომპანიისთვის ინკასოს დადებას? არის თუ არა იმის მცდელობა, რომ როგორღაც გაგაჩუმონ და ამის გამო დაგადეს ინკასო?***

– ხელისუფლების სურვილია, რომ მან შეუქმნას პრობლემა ყველას, ვისაც ვერ აკონტროლებს. ბუნებრივია, ეს არის შეფერხება, თუმცა, რა თქმა უნდა, ვერ გაგვაჩერებენ და გავაგრძელებთ მუშაობას, თუმცა ეს ტელევიზიას სერიოზულ პრობლემებს უქმნის, მით უმეტეს, როდესაც ინკასოს დადების გადაწყვეტილება მიიღეს წინასაახალწლოდ. ეს განსაკუთრებით მგრძნობიარე პერიოდია, იქიდან გამომდინარე, რომ ბევრი ვალდებულებაა ამ პერიოდში და ეს არის პრობლემური.

***– თუ მიიღეთ პასუხები კითხვებზე, რატომ გამოიყენეს ეს სანქცია მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე ტელევიზიაზე და რატომ არის შერჩევითობა?***

– არა, ამ კითხვაზე პასუხები ვერ მივიღეთ. გვეუბნებიან, რომ რატომ არ ადებენ ინკასოს „იმედსა“ და „მაესტროს“. როგორც ფინანსთა მინისტრმა თქვა, ინკასო რომ დავადო, ტელევიზია გაჩერდებაო, ანუ იციან, რა მოსდის ტელევიზიას ინკასოს შემთხვევაში, მაგრამ ამას ისინი არ შეუკავებია და, შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდო, რომ მათ ზუსტადაც გაჩერება უნდათ.





***– რა გამოდის ამით? რეალურად გითხრეს, არ გვინდა, ის ტელევიზიები გაჩერდნენ, მაგრამ თქვენი ტელევიზია გაჩერდება თუ არა, ამას არა აქვს მნიშვნელობაო?***

– ასე გამოდის. იმიტომ არ ადებენ „იმედს“ ინკასოს, რომ არ გაჩერდესო. მე თუ მადებენ ინკასოს, ეს ნიშნავს, რომ მათთვის მისაღებია, მე გავჩერდე. ასე არ გამოდის?!

***– რას აპირებთ, რა მეთოდებით გააგრძელებთ ბრძოლას?***

– მე ვაპირებ გავარკვიო, რას აპირებს ხელისუფლება იმ არხებთან დაკავშირებით. მხოლოდ ამის შემდეგ გეტყვით ზუსტად, მე რას ვაპირებ.

***– ანუ ფიქრობთ, რომ ეს დავალიანება შესაძლოა გადაიხადოთ?***

– გადასახადს ყველა გადაიხდის და ვერავინ ასცდება. უბრალოდ, მე არ მინდა, რომ ეს უსამართლობა გაგრძელდეს და აღმოიფხვრას. არ მინდა, ასე იყოს, რომ მე ვიხადო ყოველდღე და ვიღაცამ არასოდეს არ იხადოს. მინდა, რომ მოხდეს თანასწორობის აღდგენა ამ სფეროში.

***– დღეს, პარასკევს, იგეგმება შეხვედრა ფინანსთა მინისტრთან. რას ელით ამ შეხვედრისგან?***

– ჯერჯერობით არაფერს ველი.

***– ეს შეხვედრა თქვენი ინიციატივით დაიგეგმა?***

– დიახ. ჩვენ ვთქვით, რომ გვინდა მინისტრთან შეხვედრა და მინისტრი დაგვთანხმდა ამ მოთხოვნაზე.

„ტვ პირველის“ ფინანსურმა დირექტორმა **ნანა აბურჯანიძემ** კი გვითხრა, რომ მათ აღშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ სხვებს მილიონიანი დავალიანებების გამო არ ადებენ ინკასოს, მაშინ როცა არავინ იცის, როდის დაიფარება. მათი დავალიანება ბევრად ნაკლებია, ამაზე ადებენ ინკასოს წლის დასასრულამდე 5 დღით ადრე.

***– რას აპირებთ ახლა, ამ გადაწყვეტილების შემდეგ?***

– ჩვენ ისედაც ვაპირებდით ბიუჯეტის წინაშე ჩვენი ვალდებულების დაფარვას, არასოდეს ამაზე უკან არ დაგვიხევია. ჩვენ გადასახადებს ვიხდიდით იმ წლების განმავლობაში, როდესაც სხვები წლების განმავლობაში მილიონობით ლარის ვალს აგროვებდნენ. ახლა გადავადებაზე გვეთქვა უარი, თორემ არ გვითქვამს, რომ ვინმემ რამე დაგვითმოს, არ გადაგვახდევინოს ან გვაპატიოს, ეს არავისთვის გვითხოვია და არავისთვის ამ თხოვნით არასდროს მიგვიმართავს, არც ვაპირებთ.

ჩვენს აღშფოთებას ინკასოს ფაქტი არ იწვევს, იმიტომ რომ არ არსებობს ბიზნესი, რომელსაც ინკასო არ გაუვლია თავის თავზე, არ არსებობს, ან არ დაგიგვიანდეს, ან რამე არ მოხდეს იმისათვის, რომ ბიუჯეტის წინაშე აღებული ვალდებულება ვერ შეასრულო. აქ ინკასოს ფაქტი კი არ იწვევს აღშფოთებას, არამედ იწვევს ის, თუ როდის მოხდა ინკასოს დადება, წლის დასასრულამდე 5 დღით ადრე და მეორე, იმ ფონზე, როდესაც სხვებს მილიონიანი დავალიანებების გამო არ ადებენ ინკასოს და არავინ იცის, როდის დაიფარება, ჩვენი დავალიანება კი, რომელიც არც მილიონია, არც ნახევარი მილიონი და ბევრად ნაკლები თანხაა, ამაზე გვედება ინკასო წლის დასასრულამდე 5 დღით ადრე.

ხომ ხვდებით, რაზეც ვაკეთებთ აქცენტს?! აქ გადახდა-არგადახდის საკითხი არც დამდგარა. ჩვენ ვიხდიდით, ვიხდით და ყოველთვის გადავიხდით.

***– თუ მიიღეთ კითხვაზე პასუხი, რატომ მხოლოდ 3 ტელეკომპანია და არ მოხვდნენ სიაში მილიონიანი დავალიანებების მქონე ტელეკომპანიები, თუ „რუსთავი 2“-ს არ ჩავთვლით?***

– არა, პასუხი არ მიგვიღია. ეს რიტორიკულ კითხვად რჩება და ისევ პასუხგაუცემელია. ზუსტად ამაშია ორმაგი სამართალი და ამაშია ჩვენი და სხვა არხების არათანაბარ პირობებში ჩაყენება. ეს კითხვა ეკუთვნის მინისტრს და, წესით, განმარტება უნდა გააკეთოს შემოსავლების სამსახურმა. რა შუაშია მიმდინარე დავალიანება?!

ეს უფრო მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის – მიმდინარე 100.000-იანი დავალიანება თუ რამდენიმემილიონიანი დავალიანებები?! შედარებითია ყველაფერი. იმისთვის შემოიღეს ეს მიმდინარე, რომ მოხდეს იმის ახსნა, რატომ ახლა და არა, ვთქვათ, სხვა დროს არ მოხდა ინკასოს დადება დავალიანებებისთვის. ის, რომ, მაგალითად, „იმედი“ 5 წელი ან 4 წელი არ იხდიდა გადასახადს, ბოლო 3 თვე იხდიდა და ამის გამო არ უნდა დაედოს ინკასო, ეს აბსურდია.

***– უკავშირებთ თუ არა ამას ტელევიზიის წინააღმდეგ ხელისუფლების ბრძოლას?***

– რა თქმა უნდა, ვუკავშირებთ, იმიტომ, რომ ძალიან არადამაჯერებელი და დაუსაბუთებელია, რატომ ახლა და არა აქამდე. რატომ არ შეიძლებოდა, ჩვენთვის მოეცათ ცოტა დრო, თუნდაც 15 იანვრამდე?! ჩვენ უარი ვთქვით გადახდაზე, რამე დავაკელით სახელმწიფოს თუ რა?!

რა თქმა უნდა, ეს მოხდა იმიტომ, რომ წლის დახურვა ჩვენთვის გახდეს პრობლემა და ხელოვნურად შეგვექმნას იმაზე დიდი დაბრკოლება და პრობლემა, ვიდრე შეიძლებოდა გვქონოდა, მაგრამ, არა უშავს, ამასაც გავუმკლავდებით ღირსეულად. ეს არ გვაშინებს და არც გვაბრკოლებს არაფერში, მით უმეტეს – მუშაობაში.

# „გულის ამრევია, როცა დეპუტატები პარლამენტში პროტესტს ქიმიური სითხის დასხმით გამოხატავენ“

## გიგა ბუკია: „ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ადამიანების უიმედობაა“

მარიამ მჭედლიშვილი

რას ნიშნავს ოპოზიციური ერთობის შავი სია? რა შეცდომებისთვის ეზღვება ხელისუფლებას? რა ურთიერთობები ჩამოყალიბდა პოლიტიკურ ველზე? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პარლამენტის წევრს, კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერ **გიგა ბუკიას.**

***– პოლიტიკურმა ერთობამ, რომელშიც 30-ზე მეტი პარტია შედის, ჩამოაყალიბა პოლიტიკური დევნის საკითხთა შემსწავლელი კომისია. ისინი ადგენენ „შავ სიას“. მასში შევლენ ის პოლიტიკური ლიდერები, მაღალჩინოსნები, ძალოვნები, მოსამართლეები, რომლებიც მხილებული არიან პოლიტიკურ რეპრესიებში. ერთობის სურვილია, ამ ხალხს დაუწესდეს ფინანსური და სხვა სანქციები უცხოეთში.***

– როგორც გავიგე, დაწვრილებით ინფორმაციას ამ საკითხზე მოგვიანებით მოგვაწვდიან. შეკითხვები უკვე ჩნდება. მე პარალელებსაც გავავლებდი.

წინა ხელისუფლება შემჩნეულია სხვადასხვა მძიმე დანაშაულსა და პოლიტიკურ რეპრესიებში. როცა ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს ამას უხსენებენ, ისინი ღიზიანდებიან და ყველაფერს უარყოფენ. რამდენიმე თვის წინ ივნისში დაიწყო არეულობა. იყო შტურმის მცდელობა პარლამენტში. იქ უდანაშაულო მოქალაქეებიც იმყოფებოდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ ერთი ჯგუფი, მელიას მონაწილეობით, ცდილობდა პარლამენტში შეჭრას. ამ ადამიანებზეც ამბობენ, რომ მათ მიმართ პოლიტიკური რეპრესიებია.

***– 20-21 ივნისის ამბების გამო დაკავებულებზე ბევრი კითხვა გვიჩნდება. თუ პოლიტიკური გადატრიალება იგეგმებოდა, მაშინ არაპოლიტიკოსები რატომ არიან დაკავებული? მაკო გომური რატომ გაიმეტეს? პოლიტიკოსებიდან მაინცდამაინც მხოლოდ ირაკლი ოქრუაშვილი რატომ ზის ციხეში?***

– გეთანხმებით. საზოგადოებას სჭირდება მეტი ინფორმაცია ამ მოვლენებზე. შტურმი რომ იგეგმებოდა, ამაში დარწმუნებული ვარ. აუცილებელია საქმის თავიდან ბოლომდე გამოძიება და იმის გარკვევა, ვინ არის დამნაშავე და ვინ – არა. წინა წლების დანაშაულებიც გამოსაკვლევია. არსებობს საკმარისი ინფორმაცია სააკაშვილის დროს მომხდარ სისხლის სამართლისა და სხვა დანაშაულებზე. მაშინდელ მაღალჩინოსნებს პასუხი არ უგიათ.

***– ეს ვისი ბრალია?***

– ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა, რომ წინა ხელისუფლების დროს მაღალჩინოსნების მიერ ჩადენილი დანაშაულები არ გამოიძია. აქ მხოლოდ სააკაშვილისა და ადეიშვილის სახელები არ არის გარეული. კარგი იქნებოდა, ბევრი საქმის გამოძიება 7 და 6 წლის წინ დაეწყოთ.

ამ თავსმოხვეულმა პრაქტიკამ იქამდე მიგვიყვანა, რომ მძიმე დანაშაულებში ეჭვმიტანილები (ორგანიზატორები და შემსრულებლები) უკვე სხვებს ესხმიან თავს და სხვებს უკითხავენ მორალს – ხელისუფლებასაც, საზოგადოებასაც, ნეიტრალურ ადამიანებსაც.

ხალხი გაურკვევლობაშია. მას ვერ გაუგია, რატომ არ ვრცელდება მართლმსაჯულება ყველა მოქალაქეზე.

***– ბოლო თვეებში ოპოზიციური ერთობა ატარებდა სხვადასხვა აქციას დედაქალაქსა და მის ფარგლებს გარეთ. მმართველი პარტია მას თავისებურად ეპასუხებოდა. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ამ პერიოდში ორივეს პოზიციები დასუსტდა.***

– ბოლო პერიოდში რადიკალიზაცია გაიზარდა. ამან უფრო მეტად გახლიჩა საზოგადოება და ხალხი ჩააგდო მეტ ნიჰილიზმში. ბევრი იყო ერთმანეთის ზღვარგადასული შეურაცხყოფა და ისტერიკები.

***– პოლიტიკოსების მხრიდან?***

– პირველ რიგში, პოლიტიკოსების მხრიდან. ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის ასეთი ურთიერთობები გაუგებარია. ვცდილობთ, ამას გავერიდოთ. ზუსტად ვიცი, რომ ასეთი რადიკალიზაცია და ერთმანეთისთვის შეურაცხყოფის მიყენება ხალხსაც არ მოსწონს. სამწუხაროდ, გულისამრევი ამბებიც მოხდა.

***– რას გულისხმობთ?***



– გულის ამრევია, როცა დეპუტატებს პარლამენტში შეაქვთ რაღაც ქიმიური სითხე, რომელსაც სხდომათა დარბაზში ასხამენ და ამ გზით გამოხატავენ პროტესტს.

***– იმ დღეს პარლამენტში დიდი ამბები იყო. თქვენ თუ იმყოფებოდით დარბაზში?***

– არა. სხდომათა დარბაზში არ ვყოფილვარ. რაც გავიგე და ვნახე, შესაფასებლად საკმარისია. ვიღაცის თავში ხომ მოიხარშა ასეთი ამაზრზენი გეგმა? მას თანამოაზრეებიც ხომ ჰყავდა?

ამ ვაიოპოზიციონერებს არგუმენტები არ დარჩათ და ბრძოლის ეს ხერხები გამოიყენეს. ისინი საზოგადოებას ეუბნებიან, ჩვენ კი ვართ გასვრილები, მაგრამ სხვები უარესები არიანო. ასეთმა სცენებმა ცუდად იმოქმედა ადამიანებზე. რა მოსაწონია პარლამენტის სხდომათა დარბაზში ქიმიური ხსნარის დასხმა. ეს არც დემარშია, არც პერფორმანსი და არც ხუმრობა.

***– 2019 წელი რთული გამოდგა საქართველოსთვის?***

– იყო მძიმე საშინაო და საგარეო ფაქტორები. მთავარი პოზიტივი ის არის, რომ რეგიონში მიმდინარე დაძაბული პროცესების მიუხედავად, ქვეყანა ინარჩუნებდა სტაბილურობას.

***– ეკონომიკური მდგომარეობა მძიმეა.***

– ეკონომიკური მაჩვენებლები საკმარისი არ არის. შეგვიძლია გვქონდეს პოზიტიური მოლოდინი. მთავარია, შევძლოთ ერთმანეთთან ნორმალური თანამშრომლობა, პოლიტიკური თანაცხოვრება.

დღეს პოლიტიკოსები ერთმანეთს ჭამენ. ამაში მონაწილეობს ორი ანგაჟირებული არხი. ყველაზე მეტად მაწუხებს ხალხის ნიჰილიზმი და სასოწარკვეთა. ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ადამიანების უიმედობაა. ეს ხელს უშლის ქვეყნის, ოჯახების განვითარებას.

უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში უამრავი განსაცდელი გამოვიარეთ. ამაზე საშინელი მდგომარეობაც ყოფილა. გულდასაწყვეტია, რომ ახლა ადამიანები უფრო იმედგაცრუებულები და პესიმიზმში გადავარდნილები არიან, ვიდრე მაშინ იყვნენ. ნახევარი ქვეყანა რომ შემოიარო, ორ გაღიმებულ სახეს თუ ნახავ. დანარჩენი საზოგადოება დაღვრემილი და გამწარებულია.

საქართველოს აქვს რესურსები განვითარებისათვის. მომავალს იმედიანად უნდა შევხედოთ. ოპტიმიზმი და კარგი განწყობა თვითონ ადამიანზეა დამოკიდებული. ამას მთელ მოსახლეობას ვუსურვებ წინასაახალწლოდ.

***– წელს კონსერვატორებმა პარლამენტის უმრავლესობა და თანამდებობები დატოვეთ. რა გეგმები გაქვთ?***

– ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი იყო დაპირების შესრულება პროპორციული არჩევნების თაობაზე. ამ დაპირების ვერშესრულების გამო დავტოვეთ უმრავლესობა, რომელთანაც 7 წელიწადი გვაკავშირებდა.

ამ წლებში მონაწილეობა გვაქვს მიღებული ბევრი კარგი გადაწყვეტილების მიღებაში. პოლიტიკიდან წასვლას არ ვაპირებთ. ჩვენ უკვე 6 წელია, ევროპარლამენტის ევროპელი კონსერვატორების წევრებიც ვართ.

პარტიის ყრილობაც გვექნება. ჩვენს გეგმებს საზოგადოებას აუცილებლად ვაცნობებთ.

# საკონსტიტუციო სასამართლო: „მოქალაქეს შეუძლია, იუსტიციის სახლს მოსთხოვოს პირადობა, რომელსაც „ჩიპი“ არ ექნება“

საკონსტიტუციო სასამართლომ ე.წ. ციფრული პასპორტების წინააღმდეგ სარჩელი არსებითად განსახილველად მიიღო. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერდა სადავო ნორმების მოქმედება, რაც იმას ნიშნავს, რომ უკვე 26 დეკემბრიდან მოქალაქეს შეუძლია, თავისი რელიგიური შეხედულებების გამო იუსტიციის სახლს მოსთხოვოს პირადობა, რომელსაც ელექტრონული მატარებელი ანუ „ჩიპი“ არ ექნება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სასამართლომ გუშინ, 26 დეკემბერს, მიიღო.

საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მოქალაქეებმა ნანა სეფაშვილმა და ია რეხვიაშვილმა საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ მიმართეს.

სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელეები ნანა სეფაშვილი და ია რეხვიაშვილი სადავოდ ხდიან პირადობის მოწმობისა და ბიომეტრიული პასპორტის გაცემის წესს, რომელიც არ იძლევა აღნიშნული დოკუმენტების არაელექტრონული სახით, ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის („ჩიპის“) გარეშე მიღების შესაძლებლობას. მათი მტკიცებით, ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის („ჩიპის“) შემცველი პირადობის მოწმობა და პასპორტი ადამიანების ტოტალური კონტროლის საშუალებაა და უკავშირდება აპოკალიფსის შესახებ ბიბლიურ წინასწარმეტყველებას.

შესაბამისად, მოსარჩელეები რწმენის გამო უარს აცხადებენ ასეთი დოკუმენტების მიღებაზე, რჩებიან პირადობის მოწმობისა და პასპორტის გარეშე, რაც იწვევს სოციალური ცხოვრებისგან მათ სრულ იზოლირებას და უზღუდავს კონსტიტუციურ უფლებებს.

„საკონსტიტუციო სასამართლომ №1404 კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განსახილველად მიიღო სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება პირადობის მოწმობის გაცემის წესის მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობას თანასწორობის უფლებასთან და რწმენის თავისუფლებასთან მიმართებით.

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმების მოქმედების პირობებში, პირები, რომლებიც რელიგიური შეხედულებების გამო უარს ამბობენ პირადობის მოწმობის მიღებაზე, ვერ მონაწილეობენ ან შეფერხებით მონაწილეობენ არაერთ სამართლებრივ ურთიერთობაში. მაგალითად, ასეთ პირებს შეზღუდული აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, სამედიცინო მომსახურების მიღების, დასაქმების, განათლების, სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობის, რიგი სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობის, ნებისმიერი მნიშვნელოვანი გარიგების დადების, საბანკო-საფინანსო დაწესებულებებთან ურთიერთობის შესაძლებლობა და ა.შ. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმების მოქმედება იწვევს მოსარჩელეთა მიმართ გამოუსწორებელი შედეგის დადგომის საფრთხეს და არ დასაბუთებულა, რომ ნორმების მოქმედების შეჩერება გამოიწვევდა ამ საფრთხის საპირწონე კერძო ან საჯარო ინტერესების შეზღუდვას.



ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩერა სადავო ნორმების იმ ნორმატიული შინაარსის მოქმედება, რომელიც გამორიცხავს ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის გარეშე პირადობის მოწმობის გაცემას პირებზე, რომლებიც რწმენის გამო უარს აცხადებენ ელექტრონული პირადობის მოწმობის მიღებაზე“, – აღნიშნულია სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში.

საქმეს განიხილავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგია.

# შსს-მ საერთაშორისო ნარკოჯგუფისგან 6 მილიონი ლარის ნარკოტიკები ამოიღო

## დაკავებულია 6 პირი



ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნარკოტიკული საშუალებების უკანონო დამზადება-შეძენა-შენახვისა და რეალიზაციის უპრეცედენტოდ მასშტაბური საერთაშორისო დანაშაულებრივი სქემა გამოავლინეს.

შსს-ს ინფორმაციით, ამოღებული ნარკოტიკის რეალიზება ინტერნეტის საშუალებით ხორციელდებოდა.

დაკავებული არიან საქართველოში მოქმედი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები – საქართველოს 1 და უცხო ქვეყნის 5 მოქალაქე, 1 პირი კი მხილებულია.

უწყების ცნობით, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ინტენსიური კომპლექსური სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დააკავეს: საქართველოს მოქალაქე, 1985 წელს დაბადებული გ.რ, რუსეთის მოქალაქე, 1988 წელს დაბადებული რ.ი., უკრაინის მოქალაქე, 1994 წელს დაბადებული ნ.კ., ყირგიზეთის 3 მოქალაქე – 1997 წელს დაბადებული უ. შ., 1992 წელს დაბადებული ს. ბ., 2000 წელს დაბადებული დ. კ. ყაზახეთის მოქალაქეს -1974 წელს დაბადებულ ხ. ტ.-ს კი ბრალი წარუდგინეს.

„სამართალდამცველებმა ბრალდებულების პირადი, საცხოვრებელი და დროებითი საცხოვრებელი სახლებისა და ბინების ჩხრეკისას, ასევე, სხვადასხვა ადგილას მდებარე სამალავებიდან სულ ამოიღეს 21 კილოგრამამდე ფხვნილის სახით და 10 ლიტრამდე სითხის სახით ნარკოტიკული საშუალება „ალფა-პვპ“.

ამოღებული ნარკოტიკების საბაზრო ღირებულება შავ ბაზარზე 6 მილიონამდე ლარს შეადგენს.

ასევე, თბილისსა და ბათუმში ნივთმტკიცებად ამოღებულია ნარკოტიკული საშუალების დასამზადებლად საჭირო ლაბორატორიული ინვენტარი და სხვადასხვა სახის ქიმიური ნივთიერება.

გამოძიების ფარგლებში, პოლიციამ მოსამართლის განჩინების საფუძველზე განახორციელა ბრალდებულების დანაშაულებრივი ქმედებების ფარული ვიდეო-აუდიო ჩაწერა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ნარკორეალიზატორთა საერთაშორისო ორგანიზებული დაჯგუფება ინტერნეტ აპლიკაცია „ტელეგრამში“ შექმნილი ჯგუფების გამოყენებით სომხეთში, ყირგიზეთში, უზბეკეთში, ტაჯიკეთსა და საქართველოში, კერძოდ, თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადებას, შეძენა-შენახვასა და რეალიზაციას ახდენდა.

აღნიშნული ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების რეგიონული მენეჯერი, უკრაინის მოქალაქე ნ.კ. ორგანიზაციისთვის შესაბამის კადრებს არჩევდა, შერჩეული კადრები საქართველოში ჩამოჰყავდა და მათ კოორდინაციას უწევდა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ყირგიზეთის მოქალაქე დ.კ., თბილისში, აფრიკის დასახლებაში ხოლო საქართველოს მოქალაქე გ.რ. ბათუმში, ლეონიძის ქუჩაზე სპეციალურად მოწყობილ ნარკოლაბორატორიებში სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებისა და პრეკურსორის შერევის შედეგად, ნარკოტიკულ საშუალება „ალფა-პვპ“-ს ამზადებდნენ და დამფასოებლებისთვის ხელმისაწვდომ ადგილებზე ათავსებდნენ. მათ უშუალო კავშირი ჰქონდათ თავის ხელმძღვანელებთან, რომლებსაც დამზადებული ნარკოტიკული საშუალებების განთავსების ადგილების ფოტოსურათებსა და სამალავების კოორდინატებს უგზავნიდნენ.




რუსეთის მოქალაქე რ. ი-ს ფიქტიური ფირმის სახელზე საზღვარგარეთიდან იგზავნებოდა ნარკოტიკული საშუალების დასამზადებლად საჭირო ქიმიური ნივთიერებები, რომლებსაც ნარკოლაბორატორიაში მომუშავე პირებისთვის ხელმისაწვდომ ადგილებზე ათავსებდა. მას უშუალო კავშირი ჰქონდა თავის ხელმძღვანელებთან, რომლებსაც ქიმიური ნივთიერებების განთავსების ადგილების ფოტოსურათებს და სამალავების კოორდინატებს უგზავნიდა.

გამოძიებით, ასევე, დადგენილია, რომ ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქე ხ.ტ. ყირგიზეთის მოქალაქის – დ.კ.-ს მიერ ლაბორატორიაში დამზადებულ და სხვადასხვა ადგილას განთავსებულ ნარკოტიკული ნივთიერება ,,ალფა-პვპ“-ს იღებდა, აფასოებდა და დანაშაულებრივ ორგანიზაციაში მომუშავე კურიერებისთვის სხვადასხვა მისამართზე ათავსებდა.

ყირგიზეთის მოქალაქეები – უ.შ. და ა.ბ. ნარკოტიკულ ნივთიერება „ალფა-პვპ“-ს, რომელსაც ხ.ტ. სამალავებში ათავსებდა, მითითებული მისამართებიდან იღებდნენ, აფასოებდნენ და მომხმარებლებისათვის ხელმისაწვდომ სხვადასხვა ადგილზე დებდნენ.

ყველა ბრალდებული საკომუნიკაციო საშუალებად იყენებდა ინტერნეტ აპლიკაცია „ვიპოლს“, რომლის მეშვეობითაც კავშირი ჰქონდათ, როგორც უშუალო ხელმძღვანელებთან, ასევე საქართველოში მყოფ რეგიონალურ მენეჯერთან.

ორგანიზებული ჯგუფის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადების, შეძენა-შენახვისა და ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღების მცდელობის ფაქტებზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-6 ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტით, 19-260-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 19-260-ე მუხლის მე-6 ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტითა და 266-ე მუხლის 1-ლი ნაწილით,“ – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

# ნარკოდანაშაულისთვის ტ.ი.-ს — 12, ხოლო ე.ჯ.-ს 10 წელი მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვისა და ნარკოტიკული საშუალების გასაღებისთვის ბრალდებულს – 12 წლით, ხოლო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვისთვის ბრალდებულს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.



თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და არაერთგზის ჩადენილი ნარკოტიკული საშუალების და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისთვის, ასევე ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღებისთვის (ორი ეპიზოდი) ტ.ი. დამნაშავედ ცნო.

ამავე განაჩენით ასევე ე.ჯ. დამნაშავედ იქნა ცნობილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისთვის. სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევმა და პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფმა ტ.ი.-მ უკანონოდ შეიძინა და შეინახა სხვადასხვა ოდენობის ნარკოტიკული ნივთიერება „ჰეროინი“ და 2019 წლის 27 მარტს 0,1156 გრ. – 400 ლარად, ხოლო 2 აპრილს 0,1475 გრ. 500 ლარად გაასაღა მოქალაქეზე.

სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით ასევე დადგინდა, რომ ტ.ი.-მ და ე.ჯ.-მ უკანონოდ შეიძინეს და ინახავდნენ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“, ტ.ი. 137,15 გრ., ხოლო ე.ჯ. 147,36 გრ. აღნიშნული ნარკოტიკული საშუალებები სამართალდამცველებმა მათი პირადი ჩხრეკის შედეგად ამოიღეს. სამართალდამცველებმა ორივე ბრალდებული 2019 წლის 22 აპრილს ქ.თბილისში დააკავეს. ტ.ი.-ს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით (ორი ეპიზოდი) და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა ჩადენილი არაერთგზის, ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღება (ორი ეპიზოდი) და არაერთგზის და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა შენახვა), ხოლო ე.ჯ.-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა შენახვა) წარედგინათ. ორივე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ტ.ი. და ე.ჯ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად ტ.ი-ს – 12 წლით, ხოლო ე.ჯ-ს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზენაეს მოსამართლეთა ვაკანტურ ადგილებზე 6 კანდიდატი შეარჩია

გუშინ, 26 დეკემბერს, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა 6 ვაკანტურ ადგილზე საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატთა სია გამოავლინა.




ფარული კენჭისყრის შედეგად საბჭომ შემდეგი ექვსი კანდიდატი შეარჩია: ილონა თოდუა – 10 ხმა; გენადი მაკარიძე – 10; ნინო სანდოძე – 10; პაატა სილაგაძე – 10; გიორგი ტყავაძე – 11; თეა ძიმისტარაშვილი – 10.

აღნიშნული კანდიდატები განსახილველად პარლამენტს წარედგინება.

აღნიშნული კანდიდატები შეირჩნენ იმ 50-კაციანი სიიდან, საიდანაც 20 კანდიდატი იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ პარლამენტს განსახილველად ზაფხულში წარუდგინა. 20 კანდიდატიდან კი პარლამენტმა უზენაეს სასამართლოში 14 გაამწესა.

სწორედ დარჩენილი 32-კაციანი სიიდან (რადგან ერთმა კანდიდატმა, ზურაბ აზნაურაშვილმა კანდიდატურა მოხსნა) საბჭომ პარლამენტისთვის წარსადგენი 6 კანდიდატი შეარჩია.

იქიდან გამომდინარე, რომ მოსამართლეობის კანდიდატებს უკვე გავლილი აქვთ გასაუბრება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, აღნიშნულ პროცედურას მოსამართლეები მხოლოდ პარლამენტში გაივლიან.

იმ შემთხვევაში, თუ საკანონმდებლო ორგანოში კვლავ ვერ მოხდება აღნიშნული ვაკანსიების შევსება, კონკურსი ხელახლა გამოცხადდება.

სხდომას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი და უზენაესი სასამართლოს მოსამართლე გიორგი მიქაუტაძე ხელმძღვანელობდა.

# რაკეტამ ნეთანიაჰუს გამოსვლა ჩაუშალა



## ისრაელის პრემიერი თავშესაფარში გადაიყვანეს

ღაზის სექტორიდან გაშვებულმა რაკეტამ ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს საარჩევნო კამპანიის ფარგლებში გამართული შეხვედრა ჩაშალა.

თავდასხმა მაშინ განხორციელდა, როცა ნეთანიაჰუ სპეციალურად მოწყობილ სცენაზე სიტყვით გამოდიოდა. პრემიერ-მინისტრი და მისი მეუღლე გამაფრთხილებელი სიგნალის ჩართვისთანავე თავშესაფარში გადაიყვანეს.

ისრაელის თავდაცვის ძალების ინფორმაციით, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა „რკინის გუმბათის“ საშუალებით ღაზის სექტორიდან გაშვებული რაკეტა მოიგერიეს.

რაკეტის სროლაზე პასუხისმგებლობა არც ერთ პალესტინურ დაჯგუფებას არ აუღია.

მოგვიანებით ისრაელმა ღაზის სექტორზე საპასუხო სარაკეტო დარტყმა განახორციელა. ისრაელის სამხედრო ძალების ინფორმაციით, დარტყმები „ჰამასის“ ტერორისტული ჯგუფის პოზიციებზე მოხდა.

შეგახსენებთ, რომ კენჭისყრა, რომლის დროსაც მმართველი პარტია „ლიკუდის“ ლიდერი უნდა აირჩიონ, ხუთშაბათს გაიმართება.

# იანვარში პომპეო ბელარუსში ჩავა



იანვარში ბელარუსს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო ეწვევა.

აშშ ცდილობს, განავითაროს ურთიერთობები ევროპის ქვეყანასთან, რომელიც მთლიანად მოსკოვის ორბიტაზეა.

ბელარუსმა, რომელსაც ევროპის უკანასკნელ დიქტატურად მოიხსენიებენ, 2008 წელს ქვეყნიდან ამერიკის ელჩი გააძევა, მას შემდეგ, რაც ვაშინგტონმა ქვეყანას სანქციები დაუწესა.

გასულ ოქტომბერს ვეს მიტჩელი, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე, მინსკს ეწვია, რაც ბოლო ათი წლის განმავლობაში ამერიკელი მაღალჩინოსნის პირველი ვიზიტია ქვეყანაში. მედია აღნიშნულს ორ ქვეყანას შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობებში გარღვევას უწოდებს.

შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინ ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ რუსეთი გააკრიტიკა.

მისი თქმით, მოსკოვი მინსკზე ინტეგრაციის საკითხთან დაკავშირებით ზეწოლას ახორციელებს. როგორც ქვეყნის პირველმა პირმა აღნიშნა, ნატო და დასავლეთი არ დაუშვებენ, რომ რუსეთმა ბელარუსის სუვერენიტეტი დაარღვიოს.

# თურქეთი ლიბიაში ჯარს გაგზავნის



თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის თქმით, ქვეყნის მთავრობა პარლამენტს იანვარში წარუდგენს შუამდგომლობას ლიბიაში ჯარების გაგზავნის შესახებ.

– ჩვენ წავალთ იქ, სადაც მიგვიწვევენ. რადგან მივიღეთ მოწვევა, მივიღებთ, – განაცხადა ერდოღანმა. მისი თქმით, პარლამენტი დადგენილებას დაახლოებით 8-9 იანვარს მიიღებს.

თურქეთმა ლიბიის აღიარებულ მთავრობასთან გასულ თვეს სამხედრო თანამშრომლობის შეთანხმებას მოაწერა ხელი, რამაც მოსკოვის შეშფოთება გამოიწვია.

2014 წლის მოვლენების შემდეგ ლიბია ორ ნაწილად არის გაყოფილი. როგორც ცნობილია, მოსკოვი აღმოსავლეთ ლიბიაში ხალიფა ჰაფტარის რეჟიმს უჭერს მხარს.

# ფილიპინებს ტაიფუნმა გადაუქროლა

25 დეკემბერს ფილიპინებს ტაიფუნმა გადაუქროლა. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ ზომები წინასწარ მიიღო, ზარალი მაინც დიდია.



დაიღუპა 12 ადამიანი, დანგრეულია მრავალი შენობა, განადგურებულია სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი ობიექტები.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მამაკაცს ცხრა დოლარის ქურდობისთვის სამუდამო პატიმრობა მიესაჯა

ამერიკის ალაბამის შტატის მცხოვრებს სამუდამო პატიმრობა ცხრა დოლარის მოპარვისთვის მიესაჯა.



უილი სიმონსი ქალაქ ენტერპრაიზში დაიბადა და ღარიბ ოჯახში იზრდებოდა. მან ნარკოტიკების მოხმარება სკოლაში უფროს კლასებში სწავლის დროს დაიწყო, მაგრამ 16 წლის ასაკში თავი დაანება, მოგვიანებით კი ნარკოტიკების მოხმარება განაახლა.

1979 წლისთვის სიმონსი სამჯერ იყო ნასამართლევი ქონების დატაცებისა და ნაქურდალის გასაღებისთვის. 1982 წელს მან საფულე მოიპარა, რომელშიც ცხრა დოლარი იდო. ვინაიდან სიმონსი უკვე სამჯერ იყო ნასამართლევი, ის ალაბამაში მოქმედი „სამი შეცდომის კანონის“ თანახმად გაასამართლეს, რომელიც სამი და მეტი დანაშაულის ჩამდენ პირს ხანგრძლივ პატიმრობას უსჯის.

ცხრა დოლარის მოპარვისთვის მამაკაცს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა, ვადამდე პირობითად გათავისუფლების უფლების გარეშე. ამ დროისთვის 62 წლის სიმონსმა ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მკაცრ საპატიმროში 38 წელი გაატარა. 2005 წელს, როდესაც მისი და გარდაიცვალა, მასთან არავინ მისულა. სიმონსმა რამდენიმეჯერ გააგზავნა საკასაციო საჩივარი საკუთარ განაჩენთან დაკავშირებით, თუმცა ყველას განხილვაზე უარი მიიღო.

ახლახან ჟურნალისტმა ბეტ შელბურნმა ტვიტერში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა სიმონსის ისტორია. მან განაჩენს ალმაშფოთებელი უწოდა. ალაბამის „სამი შეცდომის კანონი“ მრავალჯერ გაუკრიტიკებიათ მისი მეტისმეტი სიმკაცრის გამო.

# საშობაო წირვაზე პრინც უილიამის შვილების გამოჩენამ ფანები აღაფრთოვანა



პრინც უილიამისა და კეიტ მიდლტონის უფროსი შვილები ჯორჯი და შარლოტა მშობლებთან ერთად სანდრინგემში წმინდა მარია მაგდალინელის ეკლესიაში საშობაო წირვას დაესწრნენ. ამის ამსახველი ფოტოსურათი ინსტაგრამში კენსინგტონის სასახლის გვერდზე გამოქვეყნდა.

აღსანიშნავია, რომ პრინცმა უილიამმა და კეიტ მიდლტონმა ბავშვები საეკლესიო მსახურებაზე პირველად წაიყვანეს, რითიც სოციალური ქსელის მომხმარებლები აღაფრთოვანეს.

– ჯორჯ და შარლოტა, თქვენ ჩემი დღე გააბედნიერეთ, – დაწერა კომენტარში ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა.

– შარლოტა თოჯინას ჰგავდა და ხალხთან შესანიშნავად ურთიერთობდა, – აღნიშნა მეორემ.

– ჯორჯი შესანიშნავია, – წერდნენ სხვები.

წირვაზე ჰერცოგინია კეტრინს ეცვა გრძელი ნაცრისფერი პალტო, ეხურა მუქი მწვანე ქუდი და ამავე ფერის ფეხსაცმელი ეცვა. ამავე ფერებში იყო შემოსილი შარლოტაც, პრინც უილიამის მუქი ლურჯი პალტო კი ჯორჯის ჩაცმულობას მიესადაგებოდა. დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II ღია წითელ პალტოში იყო გამოწყობილი.

სასექსის ჰერცოგმა ჰარიმ და ჰერცოგინია მეგანმა ამ შობის დღესასწაულის დღეების ბრიტანეთის ფარგლებს გარეთ გატარება გადაწყვიტეს.

# მილიარდერებმა სუპერიახტებით კარიბის კუნძულის ოკუპირება მოახდინეს



შობის წინა დღეებში 52-მა სუპერიახტამ კარიბის ზღვაში მდებარე კუნძულ სენ-მარტენის ოკუპირება მოახდინა.

სავარაუდოდ, მულტიმილიონერები შეთანხმდნენ, რომ კათოლიკურ შობას ამ კუნძულზე შეხვდნენ, ამისთვის კი ხომალდებმა ჯერ კიდევ ნოემბრის შუა რიცხვებიდან დაიწყეს აშშ-ის, იტალიის, ესპანეთისა და საფრანგეთის პორტების დატოვება და კურსი კარიბისკენ აიღეს.

აღსანიშნავია, რომ მათ შორის იყო რუსი მილიარდერის რომან აბრამოვიჩის იახტა Eclipse, ხოლო პაკისტანელი მილიარდერის იახტა Ecstasea ნავმისადგომს დაეჯახა და მნიშვნელოვნად დაზიანდა.

# სკოლის მდივანმა ფული მოიპარა და მოგზაურობაში გაფლანგა

ინგლისის ლესტერშირის საგრაფოს ქალაქ აშბი-დე-ლა-ზოუჩში დაწყებითი სკოლის მდივანმა მიშელ პიდკოკმა სოლიდური თანხა მოიპარა და მოგზაურობაში დახარჯა.

პიდკოკი მდივნად 2008 წლის იანვრიდან 2018 წლის ივნისის ჩათვლით მუშაობდა და სკოლის ანგარიშებთან ჰქონდა საქმე. ბოლო ხუთ წელიწადში მან ყალბი ანგარიშების შექმნის წყალობით, საერთო ჯამში, 84,3 ათასი ფუნტი სტერლინგი მიითვისა. მოპარულ თანხას ის მეუღლის ანგარიშზე რიცხავდა და მათ ვალების გასტუმრებაში, ბრიტანეთში მოგზაურობასა და სახლის მოწყობაში ხარჯავდა.

დანაშაულებრივი სქემა გასულ ზაფხულს გამოვლინდა, პიდკოკის სამსახურიდან წასვლიდან სამ დღეში. აქტიური დასვენების ორგანიზატორები სკოლას დაუკავშირდნენ და თანხის გადაუხდელობის შესახებ აცნობეს. ამის შემდეგ სკოლის ხელმძღვანელობამ ანგარიშის შესწავლა დაიწყო და პიდკოკის მეუღლის სახელზე გაკეთებული გადარიცხვები აღმოაჩინეს.

პოლიციამ ქალის საცხოვრებელი დაათვალიერა და მიხვდა, რომ სააბაზანოში ახლახან იყო გაკეთებული რემონტი. ასევე ნოუთბუქში აღმოაჩინეს ფიქტიური ანგარიშების მისამართები. დაკითხვაზე ყოფილმა მდივანმა აღიარა, რომ თავისუფალი წვდომა ჰქონდა მეუღლის ანგარიშზე და ბოლო დროს დეპრესიით იყო შეპყრობილი.

სასამართლოში მიშელ პიდკოკმა სამსახურებრივი მდგომარეობის თაღლითობისთვის გამოყენების ბრალდება აღიარა. მას ორი წლით პატიმრობა, ორი წლით პირობითი პატიმრობა და 250 საათი საზოგადოებრივი აუნაზღაურებადი საქმიანობის შესრულება მიესაჯა. ასევე მოსამართლემ მას 28 დღის განმავლობაში 84,3 ათასი ფუნტი სტერლინგის დაბრუნება დააკისრა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# მანუელ ნოიერი: „როცა არავის სჭირდები, მოტივაცია იკარგება“

მიუნხენის ბაიერნისა და გერმანიის ნაკრების მეკარე მანუელ ნოიერმა გერმანულ მედიასთან ინტერვიუში საკუთარ მომავალზე ისაუბრა.

**მანუელ ნოიერი:**

– როდესაც შენ აღარავის სჭირდები და შენ ამას გრძნობ, საკმაოდ რთულია ყოველდღიური სამუშაოსთვის მოტივაციის პოვნა. პირიქით, როდესაც შენი გამოცდილება მოთხოვნადია და ფეხბურთელებს სჭირდები, სწორედ ეს ხდება ენერგიის წყარო. ვგრძნობ, რომ გერმანიის ნაკრებში მოთხოვნადი ვარ და ჩემი ასპარეზობით ყველა გახარებულია. გამოცხადებულ ნდობას აშკარად კარგი თამაშით უნდა ვუპასუხო. ის ფაქტი, რომ ამდენი ხანია ფეხბურთს ვთამაშობ ჩემი ამ სპორტისადმი სიყვარულის გამოხატულებაა. აღელვებული ვარ, როდესაც ვარჯიშზე ან შეხვედრაზე გამოვდივარ. ეს ყველაფერი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.



33 წლის ვარ, მაგრამ როდესაც მინდორზე გამოვდივარ ყოველთვის ვგრძნობ, რომ საკუთარი თამაშის ხარისხის გაუმჯობესება შემიძლია. ისევე, როგორც 10 წლის წინ ახლაც ვბრაზდები იმაზე, რაც არ გამომივიდა და მიხარია ის რაც კარგად გავაკეთე. ჩემი ამბიციები ერთგვარი ინდიკატორია ჩემთვის. მინდა, მანამდე ვითამაშო, სანამ ჯანმრთელობა შემიწყობს ხელს, ვიქნები ბედნიერი და მოთხოვნადი.

ახალგაზრდობაში ამხელა ძალისხმევა არ გჭირდება, რომ ფორმაში იყო. დროთა განმავლობაში ყველაფერი იცვლება. ეს უკვე შევატყვე. ახლა ყველაფერს დიდი ყურადღებით უნდა მიუდგე.

ნოიერი გერმანიის საზღვრებს გარეთ თამაშს არ გამორიცხავს, თუმცა იქვე ამბობს, რომ ამ ეტაპზე ბაიერნიდან წასვლა ვერ წარმოუდგენია. გერმანელი მეკარის განცხადებით, მას ფეხბურთში ინტერესები კიდევ ბევრი აქვს და რაღაც განსაკუთრებულ გამოწვევას ელოდება.

– არასდროს მითქვამს, რომ კარიერას გერმანიაში დავასრულებდი, თუმცა არ ის მითქვამს, რომ ოდესმე ბაიერნს დავტოვებდი. ამ ეტაპზე უცხოეთში სათამაშოდ წასვლა ვერ წარმომიდგენია, თუმცა ბიზნესში ყველაფერი სწრაფად იცვლება. შესაძლოა, ეს სისწრაფე ჩემზეც გავრცელდეს.

მოგვიანებით, განვიხილავდი სამსახურს, რომელსაც ჩემთვის გამოწვევის სახე ექნებოდა. ფეხბურთში დარჩენა და ისეთი საქმის კეთება მსურს, რომელიც ჩემი შთაგონება იქნება და მას აღფრთოვანებით მივუდგები.

გეტყვით, რომ 33 წლის მეკარეს ბავარიელებთან კონტრაქტი მომავალი სეზონის ბოლომდე აკავშირებს. როგორც გერმანული პრესა წერს, „რეკორდმაისტერმა“ მისი შემცვლელი უკვე შეიგულა და ზაფხულში შალკედან 23 წლის ალექსანდრ ნიუბელს უფასოდ დაიმატებს.

# ბექა ბურჯანაძემ გიორგი შერმადინი ბაბუას შეადარა

ბექა ბურჯანაძის გრან კანარიამ ბოლო მატჩი გიორგი შერმადინის იბეროსტარ ტენერიფესთან გამართა და უშანსოდ წააგო, რისი მთავარი მიზეზიც სწორედ შერმადინი გახდა. საქართველოს ნაკრების ცენტრმა 32 ქულა ჩააგდო.




გრან კანარიას ესპანეთის ჩემპიონატის 14 ტურის თავზე 7 მოგება აქვს და, მართალია, მე-12 ადგილზე იმყოფება, მე-6 პოზიციაზე მყოფ ვალენსიას მხოლოდ 1 გამარჯვებით ჩამორჩება.

ლიგა ენდესას პირველი წრის დასრულებამდე 3 ტურია დარჩენილი და ამ შეხვედრებში წარმატებულად თამაშს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

შეგახსენებთ, რომ სწორედ პირველი ეტაპის შედეგებით ვლინდება 8 გუნდი, რომლებიც გაისად ესპანეთის თასის მოსაგებად იბრძოლებენ.

ესპანურმა მედიამ გრან კანარიას განვლილ და მომავალ მატჩებზე სასაუბროდ სწორედ ბექა ბურჯანაძე შეარჩია და მას მცირე ინტერვიუ ჩამოართვა.

***– ბოლო მატჩში იბეროსტარ ტენერიფესთან დერბიში დამარცხდით.***

– დერბიში წაგებამ ძალიან გაგვაბრაზა. ჩვენს ქომაგებს ასეთი თამაში არ დაუმსახურებიათ. იმედია, ეს მარცხი მოტივაციას კიდევ შეგვმატებს. ჩვენმა მწვრთნელმა კაციკარისმა ტენერიფესთან შეხვედრას ერთ-ერთი ყველაზე საშინელი უწოდა და მას სრულიად ვეთანხმები. კონცენტრაცია გვაკლდა და ეს, განსაკუთრებით, დაცვაში თამაშისას იგრძნობოდა.

***– მომავალი თამაში სან ბაპლო ბურგოსთან გაქვთ, რომელიც ამ სეზონში კარგად გამოიყურება და ბოლო შეხვედრაში ბასკონიაც კი დაამარცხა.***

– მართალია... ჩვენი მომავალი მეტოქე წლევანდელ სეზონში ჩინებულად გამოიყურება. მხოლოდ ის რად ღირს, რომ გასულ ტურში სტუმრად ბასკონიას მოუგეს. მიუხედავად იმისა, რომ შინ ვთამაშობთ, ძალიან გაგვიჭირდება. ბურგოსელებს, ფაქტობრივად, ყველა პოზიციაზე ძლიერი კალათბურთელები ჰყავთ.

***– ესპანეთის თასზე მოსახვედრად ლიგა ენდესას პირველი წრის შემდეგ საუკეთესო 8 გუნდში მოხვედრაა საჭირო. გუნდი ამისთვის მზად არის?***

– გასახდელში მუდმივად ამაზე ვსაუბრობთ. საუკეთესო 8 გუნდში მოხვედრის შანსი გვაქვს და ის აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. კალენდარიც ხელს გვიწყობს, რადგანაც პირველ წრეში დარჩენილი 3 მატჩიდან ორს შინ ვატარებთ. სამივე თამაშს ფინალის რანგში ვუყურებთ და კონცენტრაციაც შესაბამისი გვაქვს.

***– თავად როგორ ფორმაში იმყოფებით? გასულ სეზონში ძალიან ბევრი გაგიცდათ.***

– 100%-ით მზად არ ვარ, თუმცა, ვგრძნობ, რომ ყოველი ტურის შემდეგ უკეთესი ვხდები. ტრავმებმა ძალიან უკან დამხია და დაკარგულ პერიოდს ახლა ვინაზღაურებ. შრომა ნამდვილად არ მეზარება და ყველაფერს ვაკეთებ, რათა პროგრესი არ შეჩერდეს. რაც მთავარია, წარმატების მტკიცედ მჯერა და ეს დამატებით ენერგიას მაძლევს.

***– დერბიში თქვენი წაგების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი თქვენივე თანამემამულე გიორგი შერმადინი იყო, რომელიც ძალიან მაგარ სეზონს ატარებს. რას იტყოდით მასზე?***

– პროგრესისთვის ძლიერ მეტოქეებთან თამაში აუცილებელია. როდესაც საუკეთესოებს ეჯიბრები, შენც უკეთესი ხდები. გიორგი შერმადინმა საოცრებები აკეთა. მიუხედავად იმისა, რომ ის მოედანზე ბაბუასავით გადაადგილდება, შეუდარებელი გახლდათ და ის 32 ქულაც დაიმსახურა, რომელიც ჩვენთან მოაგროვა.

***– თქვენც გყავთ გუნდში იოანის ბურუსისი, რომელსაც უფრო მეტი სახელი აქვს.***

– ბურუსისის ძალა ყველამ კარგად ვიცით. მისი გამოცდილების პატრონს მოედანზე ყველაფრის კეთება შეუძლია. უბრალოდ, ჯერჯერობით, სტაბილურობა აკლია და ყველა თამაშს ერთ დონეზე ვერ ატარებს. თუმცა ამ მხრივ ნაკლებად ვნერვიულობთ, რადგანაც ვიცით, რომ ძალიან მალე ის თავის სიტყვას იტყვის.

# კიმ კარდაშიანის ცხვირი ეტალონად მიიჩნიეს




ამერიკელი ექიმები აცხადებენ, რომ მათი კლიენტების, დები კარდაშიანების ზოგიერთი წარმომადგენლის ცხვირს ეტალონად მიიჩნევენ.

პოპულარულმა პლასტიკურმა ქირურგებმა ტერი დუბროუმ და პოლ ნასიფმა, რომლებიც სატელევიზიო შოუში თავიანთი კოლეგების მიერ დაშვებულ შეცდომებს ასწორებენ, განაცხადეს, რომ ოპერაციის წინ პაციენტები იდეალურ მაგალითად ყველაზე ხშირად კიმ და კორტნი კარდაშიანების ცხვირს ირჩევენ. ნასიფმა ასევე დაამატა, რომ მოთხოვნა პლასტიკურ ოპერაციაზე, კერძოდ, რინოპლასტიკაზე, ასევე კარდაშიან-ჯენერის ოჯახის წარმომადგენლების გამო გაიზარდა.

– ყველაფერი რაც შეეხება კარდაშიანებს, ეს იქნება ფილერი კაილის ტუჩებში თუ მთლიანობაში კიმის გარეგნობა, უბიძგებს პლასტიკისკენ, – განაცხადა ცნობილმა ქირურგმა და ამ ქალებს თანამედროვე მერილინ მონრო უწოდა.

# მანჯუკიჩი იუვენტუსს ემოციურად დაემშვიდობა

იუვენტუსის ფეხბურთელი მარიო მანჯუკიჩი ტურინულ კლუბს დაემშვიდობა და კარიერას ყატარის ჩემპიონატის ლიდერ ალ-დუჰაილში გააგრძელებს.

33 წლის მანჯუკიჩი 2015 წლიდან თამაშობდა იუვენტუსში. ამ სეზონში კი ხორვატს ერთი წუთიც არ უთამაშია ტურინელთა შემადგენლობაში.

ხორვატმა ინსტაგრამის საკუთარ გვერდზე ემოციური წერილი გამოაქვეყნა:



– უბრალო დამშვიდობებით შეუძლებელია იმ 4.5 წელიწადის აღწერა, რაც ტურინში გავატარე, მაგრამ, იმედი მაქვს, თქვენც ხედავდით, რამდენს ვაკეთებდი ამ დიდებული გუნდისთვის!

უდიდესი მადლობა ბატონ მაროტასა და ალეგრის. მათ მომცეს საშუალება, ამ დიდებული გუნდის ნაწილი გავმხდარიყავი. ტურინში ყოფნა და შავ-თეთრი მაისურის ტარება დიდი პრივილეგიაა, რისთვისაც თითოეულის მიმართ მადლიერების გრძნობა მაქვს.

ვერასოდეს დავივიწყებ გამარჯვებებს, თასებსა და საოცარ წამებს, რომლებიც ერთად გამოვიარეთ. ეს იყო მძიმე სამუშაო და განსაკუთრებული სულისკვეთების შედეგი.

მადლობა პერსონალს, რომლებიც კულისებს მიღმა მუშაობენ. სამედიცინო შტაბს, სამწვრთნელო შტაბსა და ყველა იმ ადამიანს, რომლებიც ფეხბურთელების კომფორტზე დაუღალავად ზრუნავენ.

და ბოლოს: დიდი მადლობა მსოფლიოში ყველაზე გამორჩეულ ფანებს, რომელთა უშუალო მონაწილეობითაც არის იუვენტუსი ასეთი განსაკუთრებული! ვაფასებ თქვენს მხარდაჭერას, რომელსაც პირველივე დღიდან ვგრძნობდი.

ახლა კი ჩემს ცხოვრებაში ახალი თავის ჯერი დადგა. სამუდამოდ თქვენი მარიო!

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ტყეში ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად შესულმა მამაკაცმა სიცოცხლე ლომის ხახაში დაასრულა

ინდოეთის გუჯარათის შტატში მამაკაცი დილით ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საკუთარი სახლის მახლობლად მდებარე ტყეში შევიდა და ლომის მსხვერპლი გახდა.

23 დეკემბერს, დაახლოებით დილის ექვს საათზე, სოფელ ჯირას 55 წლის მკვიდრი, სახელად კადუბხაი ბხილადი, სახლის მახლობლად მდებარე ტყეში შევიდა და იქ ლომს გადაეყარა.

ამ შემთხვევის შედეგად ინდოელი დაიღუპა. მისი ცხედარი ექსპერტიზის ჩასატარებლად საავადმყოფოში გადააგზავნეს.

ტყე გირი, რომლის მახლობლადაც დაღუპული მამაკაცი ცხოვრობდა, ერთადერთი ადგილია, სადაც აზიური ლომები ბინადრობენ.

# საფულემ პოლიციელის სიცოცხლე ტყვიისგან იხსნა



ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატის ქალაქ ფიროზაბადში საფულემ ტყვია შეაკავა და პოლიციელი დაღუპვისგან იხსნა.

პოლიციის 24 წლის თანამშრომელ ვიჯენდერა კუმარს მოქალაქეობის ახალი კანონის მოწინააღმდეგეებთან შეტაკების დროს ესროლეს. ტყვია მას მკერდში მოხვდა, ჯავშანჟილეტში გაიარა და საფულეში გაიჭედა. კუმარის აზრით, რომ არა საფულე, ის უეჭველად დაიღუპებოდა.

ქვეყანაში საპროტესტო გამოსვლები მას შემდეგ დაიწყო, რაც ინდოეთის პარლამენტის ქვედა პალატამ მხარი დაუჭირა კანონპროექტს, რომელიც რელიგიურ საფუძველზე ინდოეთის მოქალაქეობის მიღების უფლებას აძლევს არამუსლიმანებს. კანონის მოწინააღმდეგეები ფიქრობენ, რომ ეს ისლამური საზოგადოების უფლებებს ლახავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ახალი, ნედლი თევზისგან მომზადებული იაპონური კერძი; 2. ველორიქშა ინდოეთში; 3. ფერადი გაუმჭვირვალე შუშის პატარა ნატეხები მოზაიკური სამუშაოებისათვის; 5. ფრანგული მინერალური წყალი; 6. ნიუ იორკში თავისუფლების ქანდაკების ავტორი, ფრანგი სკულპტორი; 8. მსოფლიოში ყველაზე დიდი კუნძული; 10. შავი ზღვის სანაპიროზე გავრცელებული გუტაპერჩის შემცველი ჩინური ხე; 12. ბრაზილიის ნაკრებისა და „პ.ს.ჟ.“-ს ფეხბურთელი; 14. ცხენის მოსართავი; 15. მოხსენების, ლექციის მოკლე ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებები; 16. ამერიკული სამხედრო-მოიერიშე ვერტმფრენების სერია.

**თარაზულად**: 1. კომბინაცია პოკერში; 4. ქცევაში, ლაპარაკში გამოხატული დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე; 7. აქსენტი ცაგარელის პიესა; 9. თიხის ცეცხლგამძლე ლაბორატორიული ჭურჭელი; 11. ნიკო ფიროსმანის ფერწერული ტილო; 12. შურისძიების ღვთაება ბერძნულ ფოლკლორში; 13. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 17. აეროპორტი პრაღაში; 18. აზრი, ჩანაფიქრი; 19. სისხლის სამართლის დანაშაული; 20. ძალიან იშვიათი ნივთი, ექსპონატი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სელაპი; 2. პიუზო; 3. სტადია; 4. კოპიჭი; 6. მატიანე; 9. ბანკო; 11. ბაკარდი; 15. ნაფტალანი; 16. სესილი; 17. პასკვილი; 19. იურმალა; 21. საყდარი; 22. კაჭიჭი.

**თარაზულად:** 5. გენლაინი; 7. ატაკამა; 8. ოპტიკა; 10. მაკრონი; 12. ჭიუხი; 13. ოტავა; 14. ატკინსონი; 18. სააბი; 20. ფესახი; 23. ბაჩანა; 24. ყუმი; 25. ყულევი; 26. ჭონა; 27. არაბიკა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ხოტი; 2. ნიყვი; 3. აიაქსი; 5. ზვარე; 6. ლაშარელა; 8. იუნილევერი; 10. იმამოტო; 12. გურმანი; 14. ალგეთი; 15. ჩაკირი; 16. ესაძე.

**თარაზულად:** 1. ხამონი; 4. იზაბელა; 7. ჯოყოლა; 9. სოკერი; 11. უნიკუმი; 12. გემრიელი; 13. ამქარი; 17. პელოტა; 18. თექა; 19. ინანთეული; 20. ციცერონი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

27 დეკემბერი


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.8694 | ევრო — 3.1810 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7210 | 100 რუსული რუბლი — 4.6632 |

**ამინდის პროგნოზი 27 დეკემბერი**







## 17 დეკემბრიდან

ოტია იოსელიანი

**მუხლებზე დაწერილი და მტრედებს გამოტანებული ბარათები**

**ფასი გაზეთთან ერთად 9,5 ლარი**

## ჟოზე მოურინიოს საყვარელი ძაღლი მოუკვდა



ტოტენჰემის მთავარი მწვრთნელის ჟოზე მოურინიოს ცხოვრებაში სამწუხარო ფაქტი მოხდა – მისი საყვარელი ძაღლი, იორკშირელი ტერიერი, გარდაიცვალა, რის გამოც ჟოზემ ბრაიტონთან შეხვედრის შემდეგ ემოციები ვერ დამალა:

– ძალიან სამწუხაროა, რომ ეს მოხდა, მაგრამ უკვე ვერაფერს შევცვლით. მასთან ერთად დიდხანს ვიყავი და ის მუდამ მემახსოვრება.

მოურინიომ თავის ტერიერთან ერთად 10 წელი გაატარა, თუმცა ბოლო წლებში ძაღლი მოურინიოს ცოლთან, პორტუგალიაში ცხოვრობდა.

## აზარი მოედანზე იანვრის ბოლოს დაბრუნდება




ედენ აზარის ტრავმა კიდევ უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ფიქრობდნენ. სავარაუდოდ, ბელგიელი ნახევარმცველი მთლიანად იანვარს გამოტოვებს და მხოლოდ ამ თვის ბოლოს დაბრუნდება.

აზარმა ტრავმის გამო ვერ შეძლო ბარსელონის წინააღმდეგ თამაში და მან რეალში ყოფნის დროს უკვე მეორე ტრავმა მიიღო.

რეალის გულშემატკივრების ნაწილი ამ ფაქტით უკმაყოფილოა და ისინი თვლიან, რომ აზარი მასში გადახდილ თანხას არ ამართლებს.

ზიდანმა განაცხადა, რომ აზარის არყოფნა მისი გუნდისთვის დიდი დანაკლისია.

## ანტუან გრიზმანი: „მესის მოედანზე უნიკალური თვისებები აქვს“



ბარსელონის ფრანგმა ფორვარდმა ანტუან გრიზმანმა ლიონელ მესიზე ისაუბრა და თქვა, რომ ის უნიკალური ფეხბურთელია, რომელსაც ისეთი თვისებები აქვს, რომლებიც მას განასხვავებს სხვა ფეხბურთელებისგან.

გრიზმანის აზრით, მესის მსგავსი ფეხბურთელი კიდევ დიდხანს არ გამოჩნდება:

– მესისთან ერთად თამაში უდიდესი სიამოვნებაა და მას ყოველთვის შეუძლია, გაგაოცოს. შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ მისი მსგავსი ფეხბურთელი კიდევ დიდხანს არ იქნება, რადგან ლეო უნიკალურია.

## ასტროპროგნოზი



**27 დეკემბრისათვის**

**ვერძი** – ჯანმრთელობის მხრივ ყველაფერი რიგზე ვერ გაქვთ. ალკოჰოლსა და ფიზიკურ დატვირთვას ერიდეთ. **კურო** – ეცადეთ, ოჯახში წარმოქმნილი პრობლემები დაუყოვნებლივ მოაგვაროთ. დღის მეორე ნახევარში ემოციები მოთოკეთ. **ტყუპები** – პლანეტები გმფარველობენ. იზრუნეთ ზნეობრიობაზე. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კირჩხიბი** – პირად ცხოვრებაში ერიდეთ დაუფიქრებელი ნაბიჯების გადადგმას. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები. **ლომი** – ემოციები აკონტროლეთ, რათა კონფლიქტი თავიდან აიცილოთ. სხვის საქმეებში ნუ ჩაერევით. **ქალწული** – წინააღმდეგობრივი დღეა, რომელიც თქვენგან დიდ სიბრძნესა და მოქნილობას მოითხოვს. სასიყვარულო ავანტიურებში ჩართვას არ გირჩევთ. **სასწორი** – ეცადეთ, ყოველგვარი გაურკვევლობა საჩქაროდ აღმოფხვრათ. წარსულის შეცდომებს ნუ გაიმეორებთ. **ღრიანკალი** – აქტიური დღეა. ბევრი საქმე გაქვთ. ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობა სასიკეთო შედეგს გამოიღებს. **მშვილდოსანი** – სიტუაციის თქვენ სასარგებლოდ შემობრუნებას მოახერხებთ. უფროსობა თქვენით კმაყოფილია. **თხის რქა** – რთული დღეა. წარმატება უშუალო კავშირშია საქმისადმი გონივრულ და მშვიდ მიდგომასთან. **მერწყული** – არანაირი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ მიიღოთ. ჭორებს ნუ აჰყვებით. **თევზები** – შექმნილი სიტუაციის მიხედვით სათანადო დასკვნები გააკეთეთ და ეცადეთ, შეცდომები საჩქაროდ გამოასწოროთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი

ბავშვი მეზობელ ქალს ეკითხება:

– თინა დეიდა, სულ რატომ იკეთებთ მაკიაჟს?

– რომ ლამაზად გამოვიყურებოდე.

– და ეგ ეფექტს როდის გამოიღებს?

•••

პლაჟზე ხნიერი წყვილი მზეზე ირუჯება. კაცს თვალი მუდმივად გოგონებისკენ გაურბის. ცოლი ეუბნება:

– თვალები დახუჭე და ნერწყვი გადაყლაპე, ეს დესერტი საშენო უკვე აღარ არის!

– ძვირფასო, დიეტაზე ყოფნა სულაც არ გიკრძალავს მენიუს თვალიერებას...

•••

სახლში დაბრუნებულმა ქმარმა ცოლს ყვავილები მიართვა. ცოლი ეკითხება:

– და რა უნდა გავაკეთო, ფეხები გავშალო?

– რა, სახლში ვაზა აღარ გვაქვს?

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა სახე გაქვს, რა დაგემართა?

– ავად ვარ.

– მერე, ექიმთან არ იყავი?

– ჯერ სიცოცხლე არ მომბეზრებია...

•••

ცოლი ქმარს ურეკავს და ეუბნება:

– საყვარელო, შენთან სამსახურში შემოვირბინე, შენ სადღაც იყავი გასული და შენი პიჯაკიდან 500 ლარი ამოვიღე.

– სწორად მოიქეცი, ძვირფასო, უკვე სამი თვეა, იქ აღარ ვმუშაობ!

## ფრენკ ლამპარდს ვილიანის ჩელსიში დარჩენა სურს

ჩელსის მთავარ მწვრთნელ ფრენკ ლამპარდს სურს, რომ ბრაზილიელი ლეგიონერი ვილიანი გუნდში დარჩეს და ჩელსისთან ახალი კონტრაქტი გააფორმოს.

ჯერჯერობით ბრაზილიელს საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია.

– დიდი იმედი მაქვს, რომ ვილიანი ჩვენთან დარჩება, რადგან ის ჩვენთვის ძალიან ძვირფასია. მას შეუძლია როგორც შეტევაში, ასევე დაცვაში ერთნაირად მაღალ დონეზე თამაში, – განაცხადა ლამპარდმა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## ნინო სურგულაძე ტყუპების დედა გახდება



მეცოსოპრანო ნინო სურგულაძე ტყუპების დედა გახდება. ინფორმაცია ამის შესახებ მომღერალმა ტელეკომპანია „მთავარი არხის“ დილის გადაცემაში გააჟღერა.

ნინომ თავისი რჩეულიც გამოაჩინა და სოციალურ ქსელში ერთობლივი ფოტოები გამოაქვეყნა. ოპერის მომღერლის გაბედნიერება და ორი პატარა სიცოცხლის მოლოდინის სიხარული უამრავმა ადამიანმა გაიზიარა. ნინომ უამრავი მილოცვა და დადებითი სურვილი მიიღო.

## პაატა ბურჭულაძე მასტერკლასს ჩაატარებს




ოპერის მომღერალი პაატა ბურჭულაძე 29 დეკემბერს მასტერკლასს ჩაატარებს.

თავდაპირველად მის ჩატარება ფონდ „იავნანას“ სალონში იყო დაგეგმილი, მაგრამ, მსურველთა დიდი რაოდენობის გამო, მისი ჩატარება კონსერვატორიის დარბაზში გადაწყდა:

– პაატა ბურჭულაძის მასტერკლასში მონაწილეობისა და დასწრების მსურველთა რიცხვი „იავნანას“ სალონის შესაძლებლობებზე ბევრად დიდი აღმოჩნდა. ამიტომ ფონდი მასტერკლასზე გაცილებით დიდ სივრცეში, კონსერვატორიის დარბაზში გიმასპინძლებთ 29 დეკემბერს, 15 საათზე და მასზე დასწრება თავისუფალია, – ნათქვამია ფონდის ოფიციალურ განცხადებაში.

## დემნა გვასალიას მაღაზია პარიზში დააზიანეს




ქართველი დიზაინერის დემნა გვასალიას ბრენდის „ბალენსიაგას“ მაღაზია პარიზში დააზიანეს.

შობის დღესასწაულზე უცნობმა პირებმა დემნას მაღაზიის მინებზე „მერი ქრისთმას“ (მრავალ შობას) ნაცვლად მერი ქრიზის (მრავალი კრიზისი) დაწერეს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით დემნა გვასალიამ ასეთი განმარტება გააკეთა:

– პარიზში ბევრი მოძულე მყავს. ერთხელ გიჟი ჰეითერები ამეკიდნენ და ჩემს პარტნიორს რაღაცები ესროლეს.

## ხელოვანები კულტურის სამინისტროს დამოუკიდებელ უწყებად გამოყოფას ითხოვენ




რეჟისორები, მსახიობები, მხატვრები, ქორეოგრაფები, მუსიკოსები, დირიჟორები, მომღერლები, მოქანდაკეები კულტურის სამინისტროს დამოუკიდებელ უწყებად გამოყოფას ითხოვენ.

მათ უკვე მიმართეს წერილობით საქართველოს პრემიერ-მინისტრს, საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს. ხელოვანების მოთხოვნაა კულტურის სფეროს ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოცხადება და კულტურის სამინისტროს დამოუკიდებელ უწყებად გამოყოფა.

– მსოფლიოსთვის საქართველო რეალურად საინტერესო და მიმზიდველია მისი უძველესი და თვითმყოფადი კულტურით. სწორედ ქართული კულტურა და კულტურული მემკვიდრეობაა ის მთავარი ფაქტორი, რომელიც ასე იზიდავს ტურისტებს საქართველოში. სწორედ კულტურაა ის ძირითადი სფერო, რითაც ასე ამაყები ვართ საერთაშორისო ასპარეზზე კინოსა და თეატრალურ ფესტივალებზე, ბიენალეებზე, არტ-ექსპოებზე, კონკურსებსა და სხვა მრავალ უმაღლესი რანგის ღონისძიებაზე.

ისეთი სფეროების ერთ უწყებად გაერთიანებამ, როგორიცაა განათლება და მეცნიერება, კულტურა და სპორტი, მნიშვნელოვნად დახია უკან საქართველოში კულტურის განვითარების შესაძლებლობა, რადგან კულტურის სფეროში შემავალ ყველა დარგს, თავის მხრივ, მრავალი ინსტიტუციური, ფინანსური და იურიდიული პრობლემა აქვს მოსაწესრიგებელი.

ქართული სახელმწიფოს დღევანდელი მძიმე მდგომარეობა გარკვეულწილად განპირობებულია საზოგადოებაში კულტურის დეფიციტით. საზოგადოება განიცდის სულიერ და კულტურულ კრიზისს, მის დაძლევაში კი უმნიშვნელოვანესი წვლილი უნდა შეიტანოს კულტურამ, – ნათქვამია წერილში.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. მთიანეთი აზიაში; 2. მიქელანჯელოს ქანდაკება; 3. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი; 4. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 6. ავსტრიელი კომპოზიტორი; 9. ხის ზედა, განტოტვილი ნაწილი; 11. სარწმუნოებრივი ხასიათის წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა; 15. რამე გამქრალი მოვლენის კვალი, ნაშთი; 16. მექსიკური არაყი; 17. ქალაქის მცხოვრებთა სახელწოდება გერმანიაში ძველად; 19. ყურის ექიმი; 21. ქალაქი ბულგარეთში, სადაც იმართება იუმორის საერთაშორისო ფესტივალი; 22. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში.

**თარაზულად**: 5. ქუჩაში დამონტაჟებული სახანძრო ონკანი; 7. ქალაქის ელექტროტრანსპორტი; 8. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 10. ერთმანეთში შეგროვებული ფულით ქეიფი ძველ თბილისში; 12. საქართველოში გავრცელებული ტროპიკული ხე, რომლის ნაყოფისგან ამზადებენ მაღალხარისხოვან ტექნიკურ ზეთს; 13. პოლიგრაფიაში გამოყენებული სურათის ან ნახატის პირი; 14. კიდული რკინიგზა; 18. მწყემსი სამხრეთ ამერიკაში; 20. იტალიელი კინორეჟისორი; 23. მწვავე სისხლნაკლებობა; 24. დანიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 25. ნავსადგური, კურორტი, ღვინის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი სამხრეთ ესპანეთში; 26. მტვერსასრუტის გამომგონებელი ბრიტანელი მექანიკოსი; 27. რაიონული ცენტრი კახეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

